

K 164868  
3

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ  
ՎԻՃԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ

გ. 6 უცუბიძი

# მეცნავეობა აზერბაი

K 164868



მაროშემდობა  
„საბორის აკარა“  
გათუმა  
1976



634.8(ခ.၂၃၃၃-၃)

၁၃၇၄၊ ၆၇၂၈၊ ၁၂၅၂



634.8

6.994

ნაშრომში წარმოდგენილია აჭარაში გამოვლინებული ადგილობრივი ვაზის მაღალპროდუქტიული და გაძლევ ჯიშები. ამასთან ავტორი გვთავაზობს წლების განმავლობაში გამოცდილი და დადგენილი ქართული ვაზის პერსპექტიულ ჯიშებს და ამ დარგის ეგროტექნიკურ პრობლემებს აჭარის ბაზისა და მთიანი რაიონების პირობებში.

რედაქციონი პ გიგილაშვილი

© გამომცემობა „საბჭოთა აკადემია“, 1976

H 40405-0019  
M 621(08)76 34-76

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ და-  
სახა ჩვენი ქვეყნის მძლავრი აღმავლობის ახალი, ნათელი პერსპექ-  
ტივები. ჩვენმა მევენახებმა მიმღინარე ხუთწლედში უნდა გაშე-  
ნონ 35-40 ათასი ჰექტარი ახალი ვენახი და მათი ფართობი საზო-  
გადოებრივ მეურნეობებში 105 ათას ჰექტარამდე უნდა გაზარდონ,  
რომელთაგან 80 ათასი სრულმოსავლიანი იქნება.

უკანასკნელ ხუთწლედში საქართველოს რესპუბლიკის კოლე-  
ჯურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაშენდა 16 ათას ჰექტარზე  
შეტე ვენახი. 1970 წლის იანვრისათვის ვენახების ფართობშა 122  
ათას ჰექტარს გადააჭირბა. ფართობების ზრდასთან ერთად იმატა  
ყურძნის მოსავალმაც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 1975 წლის არახელსაყრელ კლი-  
მატურ პირობებში მოწეული სარეკორდო მოსავალი. საქართველოს  
სოფლის მეურნეობის ისტორიაში პირველად მოკრიფეს და სახელ-  
მწიფოს ჩაბარეს 408.000 ტონა ყურძნი.

წინასაყრილობო შრომით ვახტზე კიდევ ერთი წარმატება მო-  
იპოვეს აჭარის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, გადაჭარბებით  
შეასრულეს 1975 წლის სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გე-  
გმა-ვალდებულება. ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებუ-  
ლი 1.500 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.821 ტონა ყურძნი,  
ბოლო მეცხრე ხუთწლედში 5050 ტონის ნაცვლად — 5.634 ტონა.

მევენახეობა-მეღვინეობის აღდგენა-განვითარებას განსაკუთრე-  
ბული მნიშვნელობა ჰქონდა აჭარის მთიანი რაიონების კოლმეურ-  
ნეობათა ეკონომიკაში.

ამ რაიონებში გამოვლინებულ იქნა ადგილობრივი ვაზის მა-  
ღალპროდუქტიული და გამძლე ჯიშები, ამასთან წლები დასჭირდა  
იმის, რომ აქ ფართოდ გამოგვეცადა და დაგვენერგა ქართული ვა-  
ზის პერსპექტიული ჯიშები.

მევენახეობის განვითარების ინტერესები მოითხოვდა ავრეთვე  
გამოცდილების საფუძველზე ამ დარგის აგროტექნიკის შემუშვე-  
ბას მთიანი რაიონების პირობებში.



სამწუხაროდ დღემდე არ გავვაჩნია ნაშრომი, რომელიც მეტად განვითარების პერსპექტივებს ან აგრძელებას ნივის იმ ძირითად საკითხებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს აჭარის პირობებში.

ვფიქრობთ მევენახეობის მომქმედ აგროწესებთან ერთად წინამდებარე ნაშრომში განხილული აგროტექნიკური პრობლემების გადაწყვეტა დაეხმარება კოლმეურნეებსა და სპეციალისტებს ვენახის მოვლა-პატრონობის შემდგომ გაუმჯობესებაში, ხელს შეუწყობს მოსწავლე ახალგაზრდობის დაინტერესებას ამ მამაპაპური დარგით.

## პრატის მეცნიერობის მოყლე ისტორიული მიმოხილვა

წარსულში აჭარის სოფლის მეურნეობაში თვალსაჩინო აღვილი ეჭირა ვაზის მოშენებასა და ღვინის წარმოებას, მაგრამ უცხო დამპყრობლების სისტემატურმა თარეში, განსაკუთრებით თურქ მარბაროსთა 300 წლიანმა ბატონობამ დასცა და გააჩანავა სახალხო მეურნეობის ეს მოწინავე დარღი.

უცხოელ დამპყრობთა მიერ აჭარის მიწა-წყალზე ტყეებისა და ბალ-ვენახების აჩეხვამ, მოსახლეობის აყრამ და გამუსულმანებამ დააძრულა ამ მხარეში სოფლის მეურნეობის ინტენსიური კულტურების — ვაზისა და ხეხილის განვითარება.

ხალხს უყვარდა ვენახი, უვლიდა მას და არაფერს იშურებდა მისთვების.

ვენახის სიყვარული კარგად შემოგვინახა ხალხურმა პოეზიამ:

„დიდ ვენახში მივდიოდი ბარითა და ნიჩაფითა,  
 ზევით ბაგამ დამიძახა, აქ მობრძანდი მე რა გითხრა,  
 შენ სასუქი მომიზადე თითო ჯინი, თითო ძირსა,  
 ისეთ მტევანს გავიკეთებ, არ ჩავიდეს გოდრის ძირსა.“

აჭარის ერთ-ერთი სოფლის სახელწოდება მარადიდი, როგორც ვამოირკვა წარმოსდგება „მარანდტლისაგან“. აქ დიდი მარნების ნაშთები (დიდრონი ქვევრების ნამტვრევები და სხვა) ამჟამადაც ვენედინი. გარდა ამისა, საყურადღებოა ისიც, რომ ზოგან ტყე-ბუჩქნარით დაკავებულ აღგილებს და საყანე მიწებს დღესაც „ნავენახარებს“ ეძახიან.

ქედის რაიონის სოფელ წონიარისის კოლმეურნეობის მარანში აქვთ 15 სხვადასხვა მოცულობის (700-1.400 ლიტრამდე) ძველი ძვევრი, რომლებსაც ამჟამად ღვინისათვის იყენებენ.

ხულოს რაიონის ყინჩაურის სასოფლო საბჭოს კანტორის მახლობლად აღმოჩენილია დიდი მარანი მაშინდედი დროის ხელსაწყოებით. ამავე რაიონის სოფელ ოქტომბერში ელიას წმინდის უბანში მცხოვრებმა ბარათალი აბულაძემ თავის საკარმიდამო ნაკვეთში მოვა თრი ტონის ტევადობის ქვევრი. ასეთ აღმოჩენებს ბევრ აღ-

გილას ვხვდებით. კოლმეურნეები ამ ქვევრებს დღესაც ჟურნალებში დაინისათვის.

ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ქვედა ჩხუტუნეთში მცხოვრულ რემზი კირკიტაძეს თავის საყარმიდამო ნაკვეთზე აქვს მაღლარი ვაზა კოლოში. ადგილობრივ მოხუცთა გაღმოცემით, როდესაც აჭარას ოსმალები აწიოკებდნენ და ხალხს თურქეთში ერეკებოდნენ, ლროთა განმავლობაში ნაწილი ბრუნდებოდა სამშობლოში, თავის მიწა-წყალზე და თან მოპქონდათ ხეხილისა და ვაზის ნერგები შავშეთიდან, კლარჯეთიდან, ართვინიდან და სხვა კუთხეებიდან. ადგილზე შემოწებით რ. კირკიტაძის ვაზი 140-150 წლისა უნდა იყოს. იგი უკვე დაფუღურობულია, მისი გარეშემოწერილობა 65 სანტი-მეტრს შეადგენს, გაყოფილია სამ ტოტად. ერთი ძლიერი ტოტი აშვებულია დიდ კავლის ხეზე, ამ ტოტის სიგრძე 40-45 მეტრამდე აღწევს. გარდა ამისა, ორი ტოტი ცალ-ცალკე ლეკის ხეზეა გაშვებული 20-25 მეტრის სიგრძეზე. გაღმოცემით, ეს ვაზი ყოველწლიურად 200 კილოგრამამდე კურძენს ისხამს. გამოირჩევა მაღალი შაქ-აბიანობით (18-20 პროცენტამდე) და წვენის კარგი გამოსავლიანობით, ყვავილობას 15-20 მაისიდან იწყებს და 12-15 დღეში პეთავრებს, კრეფენ 15 ოქტომბრიდან.

ცნობილია, რომ ღვინო ქართველი ხალხის ცხოვრებაში ჭირისა და ღხინის თანამგზავრია. ზომიერად მოხმარებული ღვინო აღამიანს შრომისა და კულტურული შემოქმედებისათვის ძალას მატებს, კვების პროდუქტია. ეს გარემოება კარგად ესმოდათ საქართველოს მტრებსაც. ასე, მაგალითად, თემურ-ლენგის ისტორიული წერდა ქართველები უღვინოდ და უხილ-მწვანილოდ პურს არ ჭამენ და ცხოვრების სიამოვნებას ვერ გრძნობენო.

ამიტომ თურქი და სპარსი დამპყრობლები უმოწყალოდ ჩეხდნენ ვენახებსა და ხეხილის ბალებს, რათა ამით მოესპონთ ქართველი ხალხისათვის ცხოვრების სახსარი, შეერყიათ მისი ეკონომიური კუთილდღეობა, მაგრამ უცხოელმა დამპყრობლებმა ვერ ჩაკლეს ქართველ კაცში ვაზის სიყვარული. როგორც კი განდევნილნენ მტრებს საკუთარი მიწა-წყლიდან, ქართველი გლეხები უმაღვე შეუდგებოდნენ ბალ-ვენახების აღდგენას, ახლის გაშენებას.

თურქთა მიერ ამ მხარის დაპყრობისა და მოსახლეობის გამჭუსულმანების შემდეგ (მე-17 საუკუნე) აჭარაში ერთბაშად დაცუა მფენახეობა — დარჩა მხოლოდ მაღლარი ვენახების მცირეობენი ფართობები, რომელთა მოსავალს მხოლოდ სასუფრედ იყენებდნენ. სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ცეცხლითა და მახვილით ისლამის ჩელიგიის გავრცელების მიუხედავად, საბოლოოდ მაინც ვერ



შეძლეს აჭარის მოსახლეობაში ქართული ზნე-ჩვეულებებისა ეჭირაფალი  
ქართული დედაენის მოსპობა, ასევე ვერ შეძლეს ვაზის ამოძირებული იმპერია

პროფ. გ. რამიშვილი აღნიშნავს, რომ ადგილობრივი ვაზის მა-  
ღლარი ჯიშები აჭარის ტერიტორიაზე უფრო ფართოდ არის წარმო-  
დგენილი, ვიდრე საქართველოს სხვა რაიონებში. მის მიერ ნაპოვ-  
ნია ვაზის ძევლისძველი სახეობანი და ამპელოგრაფიული მეთოდე-  
ბით შესწავლილია 40-ზე მეტი ადგილობრივი ჯიში — ბროლა,  
ხოფათური, კლარჯული, საწურავი, გავახეთურა, თეთრი ლიგანურა,  
აღმურა, კაიკაციშვილისეული, თეთრა, მისკეთა, შავშურა, ჭიჭიშერა,  
ტაკიძურა, ცხენისძუძუ, ბათუმურა, ვაიოს საფერავი, ბუტკო, მტრე-  
დისფეხა, მახათური, კოლოში, მეკრენჩხა, შავი ლიგანურა, მათენაუ-  
რი, ჯინეში, ხარისთვალა, ჭიბაკური, კიბურა, ტყისყურებენა და სხვა,  
რომებიც მაღალხარისხოვან ქართულ ღვინოს და სუფრის ყურ-  
ძენს იძლევან.

აკადემ. ივ. გავახიშვილს\* მოყავს 420 ჯიში, აქედან აჭარაში  
14 შავი და 12 თეთრა, სულ 26-ია.

მიუხედავად იმისა, რომ გავახიშვილის მოსაზრებანი დიდი  
კვლევის შედეგია, იგი არ წარმოადგენს მაინც სრულ მასალას, რა-  
დგან შრომის გამოქვეყნების შემდეგ მრავალი ახალი ცნობა იქნა  
კიდევ მოპოვებული.

ასევე ივ. გავახიშვილი თავის შრომაში იხსენიებს საქართველ-  
ოს მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების თანამშრომელს სტ.  
მენთეშაშვილს, რომელსაც 1933 წლის ზაფხულში საქართველოს  
მუზეუმის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს მიუღია აჭარაში შე-  
გროვილი ცნობები, მევენახეობის და ყურძნის ჯიშების შესახებ, და-  
დი მეცნიერი წერს: „აჭარაში მხოლოდ მაღლარია, ვაზის აქ ვენახი  
ჰქვიან, რომელიც, რა თქმა, უნდა ძევლი ვენახის ფონეტიკურ წინა-  
სიტყვაობას წარმოადგენს. ვაზის რძის ლერწი ეწოდება, ვაზის  
რქას კი პოწეი და ტოლი, მაგრამ პოწეი თურმე მტევნის კლერტისაც  
ნიშნავს, ხოლო თვით კლერტს ბუზღალიც ჰქვიან, ფოთოლს ფო-  
თელი და უვერი ეწოდება, მტევნანს — ტევანი, ყუნწის — ყურწი,  
მარცვალს — კაკალი, მარცვლის ტყავს ქერქი ჰქვიან, წინწას ან  
თესლს, კურქას ბურკა ეწოდება, ჭაჭას კი — ჰქვიან“.

სტ. მენთეშაშვილი აჭარის ვაზის ჯიშების აღწერისას ჩხავერს  
იხსენიებს. „ჩხავერი“ წითელი (და არა შავი) ყურძნის ჯიშია. მტე-  
ვანი სავსე აქვს, გრძელი, წვიტი კაკალი იცის, ყველაზე უფრო გა-  
ვრცელებული საღვინე ჯიშთაგანია. ნოემბრის თვიდან მწიფდება.

\* აკად. ივ. გავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, ტ. II,  
თბილისი, 1934. გვ. 471,

სოქოვან ავადმყოფობით ძალიან სნეულდება, როგორც ირკვევა ეს  
ჯიში აჭარაში დიდი ხანია ყოფილა შემოტანილი გურიიდან უსამდებარებელი კანკენის უნდობები იმის შესახებ, თუ როდისაა შეტანილი ან ვის მიერ, ხსე-  
ნებული არ არის.

შევენახეობა-მეღვინეობა ფართოდაა განვითარებული ქვემო  
აჭარის შუა და ზემო ზონაში — კახაბრიდან ქედამდე; გურიის მო-  
საზღვრე მხარეში — სოფელ ქობულეთში, მუხაესტატეში, ხუცუ-  
ბანში, სამებაში, კვირიკეში, აჭყვისთავა და ალამბარში მევანახეო-  
ბა-მეღვინეობა ისევე ყოფილა განვითარებული, როგორც გურიაში  
და ზემო აჭარაში — ჭვანის, შუახევის, უჩამბის, სხალთის, ფურტი-  
ოს, ჩაოს, ალმეს (ოქტომბერი) მიღამოები. ამავე დროს ისტორიული  
ვითარებიდან გამომდინარე, მოსახლეობა აშენებდა ოსმალური ვაზის  
ჯიშებსაც, რომელთა ნაშთებს ამჟამადაც ვხვდებით ზემო აჭარის  
სოფლებში. ადგილობრივი მოსახლეობა ვენახებს აშენებდნენ მაღ-  
ლარების სახით და მიუხედავად იმისა, რომ სათანადოდ ვერ უვლი-  
დნენ, მაიც საკმაო მოსავალს იღებდნენ.

შეიძლება ითქვას, რომ ვერც ერთ კუთხეში ვერ იპოვით ისე  
შენახულად ადგილობრივ ვაზის ჯიშებს, როგორც აჭარაში. ასწლო-  
ვანი ვაზები, რომელთა შტამბის გარეშემოწერილობა 45-70 სმ-დე  
ალწევს, მიშვებულია უზარმაზარ ხეებზე და ყოველგვარი მოვლის  
გარეშე ამჟამადაც საკმაო მოსავალს იძლევა.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ აჭარაში ვაზის  
კულტურის დანერგვასა და მევენახეობის განვითარებაში მნიშვნე-  
ლოვანი წვლილი შეიტანეს აგრონომებმა შ. ჩხაიძემ, ს. ჭანკურიძემ,  
გ. შევარდნაძემ, ლ. ცეცხლაძემ, ი. ახვლედიანმა, ბ. მამინაშვილმა,  
მ. დგვეფაძემ, დ. ბეგაძემ, ლ. სულაქველიძემ, ზ. ცხადაძემ, მევენა-  
ხეებმა — ხულოს რაიონის სოფელ ოქტომბრის კოლმეურნების  
წევრმა სოციალისტური შრომის გმირმა დ. მელაძემ და ქედის რაი-  
ონის სოფელ ახოს მკვიდრმა სოციალისტური შრომის გმირმა ა. ბე-  
რიძემ.

ადგილობრივი მაღლარი ვაზის ჯიშების გამოვლინების საქმეში  
დიდი შრომა გასწიეს ქედის რაიონის სოფელ ვაიოს მცხოვრებმა  
შ. ჩიკვაიძემ და ხულოს რაიონის სოფელ ჩაოს მკვიდრმა ა. ცეც-  
ლაძემ. ჩვენი ვალია მევენახეობას თავიდანვე მივცეთ სწორი მიმა-  
რთულება, გავაშენოთ და ზონების მიხედვით დავნერგოთ მიღალ-  
ხარისხოვანი სუფრის და შამპანური ვაზის ჯიშები; განსაკუთრებული  
ყურადღება უნდა მიექცეს ვაზის მოვლა-მოშენების აგროტექნიკურ  
ღონისძიებათა მაღალხარისხოვნად გატარებას.



სოციალისტური შრომის გმირი დ. მელაძე (ოქტომბ-  
რის კოლმეურნეობა, ხულოს რ-ნი)

მეცნიერობის თანამედროვე მდგომარეობა ფიზიკური  
განვითარების პრეცენტივები



მიუხადავად იმისა, რომ პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველ-  
მხრივ ხელს უწყობდნენ მეცნიერების განვითარებას, 1934 წლამდე,  
აჭარაში სახალხო მეურნეობის ამ ნიშვნელოვან დარგს სათანადო  
ყურადღება არ ექცეოდა. მხოლოდ კოლექტივიზაციის შემდეგ და-  
იწყო აქ მეცნიერების ნამდვილი აღორძინება.

ადგილობრივი ჯიშების სიმრავლისა და მათი ხანგრძლივად შე-  
ნარჩუნების გამო აუცილებელი შეიქნა ამ მხარის ამჟღავრაული  
მეთოდებით შესწავლა.

1932-1944 წლებში საკვლევ სამუშაოებს აწარმოებდა საქართ-  
ველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცნიერების კათედრა  
პროფ. ს. ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით. ადგილზე მუშაობა  
ჩატარდა ამავე კათედრის პროფესორის მ. რამიშვილის ინიციატი-  
ვით და აჭარაში დასაქმებულ სპეციალისტთა დახმარებით.

წლების მანძილზე სეზონური შუშაობის შედეგად საფუძვლია-  
ნად იქნა შესწავლილი აჭარის მეცნიერების მხარეები და იქ გავრ-  
ცელებული ვაზის 40-მდე ჯიში.

ძველი ჯიშების აღდგენისა და შენარჩუნების მიზნით აჭარის ხე-  
ლმძღვანელმა ორგანოებმა 1934 წელს ქედის რაიონის ცენტრში  
მოაწყვეს ხეხილისა და ვაზის საცდელ-საჩვენებელი ნაკვეთი. ადგი-  
ლობრივი მაღლარი ვაზის ჯიშებიდან დაირგო საწურავი, ხოფათუ-  
რი, მეკრენჩხი, ჯავახეთურა, ცხენისძუძუ, თეთრი ლივანურა; საქარ-  
თველოს სხვა რაიონებიდან შემოტანილი ჯიშებიდან — ცოლიკაუ-  
რი, ციცქა, ოცხანური, საფერავი, რქაწითელი, კახური საფერავი და  
ევროპული ჯიშები. აგრეთვე გაშენდა საწარმოო მნიშვნელობის ერთ  
ჰექტარზე ცოლიკაური, საწურავი და ჩხავერი.

ამ წელს გადაიდგა აჭარაში დაბლარი ვენახის გაშენებისათვის  
პირველი ნაბიჯები. მომდევნო წლებში (1936-1939 წწ.) გაშენდა 38  
ჰექტარი დაბლარი ქედის რაიონის სოფელ ქედის, ვაიოს, წონიარი-  
სის, ახოს, გეგელიძეების, დანდალოს, შუახევის რაიონის სოფელ  
შუახევის, ჭვანის, ტაკიძეების და ხულოს რაიონის სოფელ ოქტომბ-  
რის კოლმეურნეობებში.

უფრო დაბალ ზონებში გაშენდა 6 ჰექტარი ფილოქსერგამძლ  
საძირე ვაზის სადელე.

ადგილობრივი და შემოტანილი ვაზის გავრცელების საზღვარი  
აჭარაში ზღვის დონიდან 1.100 მეტრამდე იღწევს. ასე, მაგალითად,  
ხულოს რაიონში წიწვიან ტყეთა მასივში ხშირად გვხვდება ადგი-

ლობრივ ჭიშთა შალლარები, რომელთა ზრდა-განვითარება და მოსახლეობა ვლიანობა დამაკმაყოფილებელია. ამავე სიმაღლეზე სოფლების დიონისის, საციხურის, კორტოხისა და ბელლეთის კოლმეურნეობებში გაშენებული დაბლარი ვენახი ალიგოტე საუკეთესო პროდუქტის იძლევა. აჭარის 90 კოლმეურნეობიდან დაბლარი ვენახი გაშენებულია 40 კოლმეურნეობაში 419,7 ჰექტარზე, ხოლო მაღლარი ვენახი (ალრიცხული ძირების ფართობზე გადაყვანით) 80,5 ჰექტარს შეადგენს.

დაბლარი ვენახის ფართობი რაიონების და ჭიშების მიხედვით (ჰექტარობით)

ცხრილი № 1

რეგიონი	მათ შორის							მდგრადი
	მდგრადი	ცოდნული	სატენი	აუცილებელი	საუკეთესო	ჩატარებული	მდგრადი	
ქობულეთ-ცენტრალურის								
და ჭიშთანურის საბ-								
ჭოთა მეურნეობა	1,70	1.00	—	—	—	—	0,70	36,45
ხელვაჩაური	28,0	23,5	3	—	—	—	1,5	15,50
ქედი	226	170	35	5,5	5,0	—	10,5	7,05
შუალედი	108	73,0	18	10	0,5	1,5	5,0	0,60
ხულო	56	20,0	16	12	—	4,0	4,0	1,00
სოლ რესპუბლიკაში	419,7	287,5	72	27,5	5,5	5,5	21,7	80,6
პროცენტი	100	68,5	17,1	6,6	1,3	1,3	5,2	—

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, ვენახების მთელი ფართობის 68,5 პროცენტი უკავია ცოლიკაურის ჭიშის ვაზს, საწურავის ჭიშის 17,1 პროცენტი, ალიგოტეს — 6,6 პროცენტი, ჩხავერს — 1,3 პროცენტი, ჩინურს — 1,3 პროცენტი, სხვა ჭიშებს — 5,2 პროცენტი.

ალრიცხვის მასალები გვიჩვენებს, რომ დღეისათვის ამ ჭიშებიდან ცოლიკაურს უჭირავს ყველაზე მეტი — 287,5 ჰექტარი, საწურავს — 72 ჰექტარი; მართალია ალიგოტეს ფართობი ჯერჯერობით მცირეა (27,5 ჰექტარი), მაგრამ მას მომავალში განვითარების დიდი პერსპექტივები გააჩნია, იგი ხარობს 1.100 მეტრ სიმაღლემდე. ასევე მცირე ფართობი უჭირავს (5,5 ჰექტარი) მეტად ძვირფას ჭიში — დაბლარად გაშენებულ ჩხავერს.

ადგილობრივმა მცხოვრებლებმა თავიანთ საკარმილაშონ ნაკვეთებზე გაუშენეს 25 ჰექტარამდე დაბლარი ვენახი. ქედის რაიონის ქვე-

დის, პირველი მაისის, ზვარეს, ცხმორისის, დანდალოს, შუახევის რაიონის შუახევის, ჭვანის, ხულოს რაიონის ოქტომბრის შექმნილი სასოფლო საბჭოებში დიდი მოთხოვნილებაა ნამყენი ვაზის ნერგებზე ახალი ზვრების გასაშენებლად და მეჩერი ნაკვეთების გამოსარგვად.

ახლა აჭარის უველა რაიონსა და კოლმეურნეობაში შექმნილია პირობები მევენახეობის განვითარებისათვის; რაც მთავარია ადგილზე მუშაობენ გამოცდილი მევენახები. გვაქვს საკმაო რაოდენობით მინერალური და ორგანული სასუქები, უველა კოლმეურნეობაში არის შესაძლებლობა ადგილზე დამზადდეს ვენახებისათვის საჭირო ორგანული სასუქი საკმარისი რაოდენობით. თუ ამ შესაძლებლობებს გონივრულად გამოვიყენებთ, შევძლებთ მივიღოთ გარანტიორებული უხვი მოსავალი და თითოეულ კოლმეურნეობაში მევენანეობა გადავაქციოთ რენტაბელურ დარგად.

მევენახეობისათვის მტკიცე ბაზის შექმნამ და ყურძნის მაღალ-მა მოსავალმა შესაძლებელი გახადა ქედის რაიონის ცენტრში 1959 წელს აეგოთ ღვინის პირველადი გადამუშავების ქარხანა. ეს საწარმო უშვებს სუფრის ღვინის მასალას, საკონიაკე ღვინო-მასალას და ჭიჭის ნარჩენებისაგან ამზადებს სპირტს.

აჭარის კოლმეურნეობათა მოწინავე მევენახეებმა წლების მანძილზე გამოიმუშავეს და პრაქტიკაში დანერგეს ყურძნის მაღალი მოსავლის მიღების მოწინავე ხერხები და მეთოდები, გაზარდეს ნაკვეთების პროდუქტიულობა.

ქედის რაიონის სოფელ ქედის კოლმეურნეობის მევენახე ხემიღრაკიძემ, რომელსაც 1974 წელს მოსავლელად გაპიროვნებული ჰქონდა 0,5 ჰექტარი ვენახი, საშუალოდ, ერთ ჰექტარზე გადაყვანით, 116 ცენტნერი ყურძენი მოიშა, ხოლო 1975 წელს — 165 ცენტნერი.

სოფელ ცხემნის კოლმეურნეობის მევენახე მემედ სალაძე მასზე გაპიროვნებული 0,26 ჰექტარი ფართობიდან, ნაკვეთის უხარისხობის მიუხედავად (ვაკე და ჭარბად ტენიანი ადგილი) აგროწესების დაცვითა და კარგი მოვლა-პატრონობით ყურძნის მაღალ მოსავალს ღებულობს. 1974 წელს საშუალო ჰექტარობრივზე გადაყვანით მან 142 ცენტნერი ყურძენი აწარმოვა, ხოლო 1975 წელს — 188 ცენტნერი.

სოფელ მახუნცეთის კოლმეურნეობის მევენახემ იბრაგიმ ნიგალიძემ 0,25 ჰექტარი ფართობიდან 1974 წელს საშუალო ჰექტარობრივზე გადაანგარიშებით 285 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა, 1975 წელს კი 395 ცენტნერამდე გაზარდა წლიური მოსავალი.

შუახევის რაიონის სოფელ შუახევის კოლმეურნეობის მევენა-

ხემ ჯემალ დავითაძემ გაპიროვნებულ 0,23 ჰექტარი ვენახიდან 1974 წელს ჰექტარზე გადაყვანით 153 ცენტნერი ყურძენი აწარმოვა, ხოლო 1975 წელს — 184 ცენტნერი.

სოფელ ჭვანის კოლმეურნეობის მევენახემ ნათელა ამაღლობელმა 0,25 ჰექტარი ვენახიდან 1974 წელს საშუალო საჰექტაროზე გადაყვანით 130 ცენტნერი ყურძენი მოიწია, 1975 წელს — 195 ცენტნერი.

ხულოს რაიონის ოქტომბრის კოლმეურნეობის მევენახემ ჰურიე ჩაყელმა მასზე გაპიროვნებულ 0,2 ჰექტარი ვენახიდან 1974 წელს საშუალო ჰექტარობრივზე გადაყვანით 142 ცენტნერი ყურძენი მიიღო, 1975 წელს კი — 159 ცენტნერი.

ამავე რაიონის მევენახე ემინე გარშანიძემ 1974 წელს მასზე გაპიროვნებული 0,2 ჰექტარი ფართობიდან მოიწია 120 ც. საშუალო საჰექტარო მოსავალი, ხოლო 1975 წელს — 135 ცენტნერი.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს 1963 წლის 18 აპრილის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ კარგი მაჩვენებლები აქვს მოპოვებული ვენახების მოვლა-დამუშავებაში ქედის რაიონის სოფელ ახოს კოლმეურნეობას, რომელმაც 11 ჰექტარ მსხმოიარე ვენახში მოკრიფა და სახელმწიფოს მიჰყიდა 1.233 ცენტნერი ყურძენი. საშუალოდ ჰექტარზე მოიწია 112 ცენტნერი. აქ ყურძნის რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავალმა კოლმეურნეობის მთლიანი ფულადი შემოსავლის 55,8 პროცენტი შეადგინა.

ამავე რაიონის სოფელ კოკოტაურის კოლმეურნეობაშ 9,2 ჰექტარი მსხმოიარე ვენახის თითოეულ ჰექტარზე მოიწია 93 ცენტნერი ყურძენი, სულ კი სახელმწიფოს მიჰყიდა 803 ცენტნერი ყურძენი. ყურძნის რეალიზაციით მიღებულმა შემოსავალმა ამ კოლმეურნეობის მთლიანი ფულადი შემოსავლის 47,9 პროცენტს მიაღწია.

სოფელ წონიარისის კოლმეურნეობის მევენახეთა რგოლმა 1,5 ჰექტარზე აწარმოა 83 ცენტნერი ყურძენი, ხოლო სოფელ ცხემნის კოლმეურნეობის წევრმა მემედ სალაძემ ჰექტარზე გადაყვანით მოიწია 120 ცენტნერი ყურძენი.

ყურძნის მოსავლიანობის გაზრდაში ასევე კარგი მაჩვენებლები აქვთ სოფელ შუახევის ორჯონივიძის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეს შუქრი დავითაძეს, ქედის რაიონის სოფელ ოქტომბრის კოლმეურნეობის წევრს სერგი შერვაშიძეს და სხვებს.

## აგროტექნიკის თანამედროვე დონე

აჭარაში ყველა ხელსაყრელი ბუნებრივი და ეკოლოგიური პირობები გვაქვს ვაზის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის, აგრო-

  
ტექნიკის მაღალ დონეზე ჩასატარებლად, ყურძნის უხვი მოსავალის ძისალებად. ამის მიუხედავად, აჭარის მეცნიერების რაიონებში მუშაობა აძნის საშუალო საჰქონიარო მოსავალი უკანასკნელ წლებში ძალზე დაბალია — 20-25 ცენტნერს არ აღემატება, ცალკეულ კოლმეურნეობებში კი ამ მაჩვენებლებზე გაცილებით ნაკლები. ქედის რაიონის სოფელ კვაშტის კოლმეურნეობამ 1972 წელს 4,2 ჰექტარი ვენახიდან საშუალოდ ჰქებული 2,1 ცენტნერი ყურძნი მოიწია, სოფელ აბუქეთის კოლმეურნეობამ 7,2 ჰექტარიდან — 5,5 ცენტნერი, სოფელ ცხმორისის კოლმეურნეობამ 8,6 ჰექტარიდან საშუალოდ — 8,1 ცენტნერი.

ასეთივე დაბალი მოსავალი აქვთ მიღებული შუახევის რაიონის სოფელ ტაკიძეების, ცხემნისის, ახალდაბის, ჭალის, ხულოს რაიონის სოფელ ყინჩაურის, წაბლანის, ქედლების, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩიქუნეთის, ზედა ჩხუტუნეთის და სხვა კოლმეურნეობებს.

ყურძნის ასეთი მცირე მოსავალი აიხსნება არა კლიმატური და ნიადაგობრივი პირობებით, არამედ უმთავრესად აგროტექნიკის დაბალი დონით, ვაზის ცუდი მოვლა-პატრონობით.

როგორც წესი, ვენახის გასაშენებლად ნიადაგის მომზადება დამთავრებულად ითვლება, როდესაც იგი გაფხვიერებული და დამჭდარია ვაზის დარღვევამდე სულ ცოტა სამი-ოთხი თვით ადრე.

სინაძლვილეში კი ეს სამუშაო უმეტესად კოლმეურნეობებში ტარდება გაზაფხულზე ნიადაგის სათანადოდ მომზადების გარეშე. ამიტომ ვენახებში ვაზის სიმეხჩრეს ძირითადად აგროტექნიკის უგულებელყოფა განაპირობებს.

იმ ნაკვეთებზე, რომელთა ნიადაგსაც გაზაფხულზე აპლანტაცებენ, და მაშინვე რგავენ ვაზს, გახარება 40-50 პროცენტს არ აღემატება, ხოლო შემოდგომაზე დაპლანტაციებულ ნაკვეთებზე გაშენებული ვაზის გახარება 92-95 პროცენტს შეაღენს.

რიგ კოლმეურნეობებში ვენახები ისხვლება ძალიან ცუდად, არ ითვალისწინებენ წინა წლებში დაშვებულ შეცდომებს. გამოცდილებიდან ვიცით, რომ ცუდი გასხვლით შეიძლება დავკარგოთ არა მარტო მიმდინარე, არამედ მომდევნო წლების მოსავალიც. ამიტომ ვაზის გასხვლა სათანადო ცოდნასა და დახელოვნებას მოითხოვს. ცნობილია, რომ ვენახებში ვაზი თანაბრად არასოდეს არ არის განვითარებული, ზოგი მათგანი ღონიერია, ზოგიც სუსტი. ამიტომ თითოეულ მათგანს სხვადასხვაგვარი გასხვლა ესაჭიროება. თანაბრად გასხვლის შემთხვევაში კი ღონიერი ვაზი დაუტვირთავი რჩება, სუსტი — გადატვირთული. ღონიერ ვაზს, რომელსაც შეუძლია დიდი მოსავალი მოგვცეს, მეტ სანაყოფე რქას უტოვებენ და პირიქით, სუსტს — შედარებით ნაკლებს. ეს კარგად იციან ჩვენმა მევენახე-



ებრა. უკანასკნელ წლებში მაღალი მოსავლის მიღების მიზნით გაზიარდებული ძალზე ტვირთავენ. სხვლის დროს ყურადღებას არ აქცევენ მის ტექნიკური მძლავრებას და ჯიშის ბიოლოგიურ თავისებურებას. ამასთან სხლავენ ძალზე დაგვიანებით — გვიან გაზაფხულზე, როდესაც მცენარემ წვენის მოძრაობა უკვე დაწყებულია. აა შეცდომების გამო ბევრ კოლექტურნეობაში ვაზი ძალიან დასუსტებულია, მცირე და უხარისხო მოსავალს იძლევა.

ცუდად არის შრომის ორგანიზაციაც, არ ინერგება მატერიალური დაინტერესებისა და წახალისების მეთოდები. მევენახეები ყურძნის გეგმის გადაჭარბებით განაღდების შეძოხვევაში არ ღებულობენ ნატურით ანაზღაურებას, ეს კი საჭიროა აჭარაში, რადგან აქ მოსახლეობას საკარმიდამო ნაკვეთებზე ნაკლებად აქვთ ვენახი, რაც სტიმულს უკარგავს როგორც გეგმის გადაჭარბებით შემსრულებელს, ასევე სხვა მევენახეებსაც. რაკი იციან, რომ გეგმის გადაჭარბებისას ნატურით ანაზღაურებას არ მიიღებენ, აღარ ცდილობენ მოსავლის გადიდებას, პირიქით იკარგება ძვირფასი ნედლეული და, რა თქმა უნდა, ამიტომ კლებულობს კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალიც.

წინათ მატერიალურ დაინტერესებას უგულებელყოფდნენ მეთაშვილეობაშიც. დაბალი იყო შრომის ანაზღაურება და ფულადი შემოსავალი. ამჟამად თამბაქოს მოვლა-პატრონობაზე დანერგილია მატერიალური დაინტერესება და წახალისება, ამიტომ ამ დარგს დილალი მუშახელი ეტანება, ვენახებში მუშაობას კი გაურბიან.

აღინიშნება ბრიგადების, რგოლის ხელმძღვანელებისა და კვალიფიციური მევენახეების სისტემატური ადგილმონაცვლება კოლმეურნეობებში, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ვენახის მოვლა-პატრონობასა და მოსავლიანობაზე. ესეც გაპირობებულია მატერიალური დაინტერესების პრინციპის უგულებელყოფით.

მევენახეობაში ფულადი შემოსავლის გადიდების ერთ-ერთი საშუალებაა ყურძნის მაღალი შაქრიანობა, ეს კი დამოკიდებულია მის ტექნიკურ სიმწიფეზე. აჭარის პირობებში რთველი უნდა დაიწყოს 15-20 ოქტომბრიდან, კოლმეურნეობები კი იწყებენ პირველი ოქტომბრიდან. ამის გამო ყურძნს აკლდება შაქრიანობა 3 პროცენტამდე, რაც საგრძნობლად აუარესებს ნედლეულის ხარისხს და შეცირებს მის ფასს. ამიტომ დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ვენახებში აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის ზუსტად დაცვას. საჭიროა ვაზის სწორი ფორმირება და დატვირთვა, რაც ყოველმხრივ შეფარდებული უნდა იქნეს კვების არესთან.

ჩვენს პირობებში ჭერ კიდევ არ განხორციელებულა შრომა-ტევად სამუშაოთა მექანიზაცია. ვენახებით მანქანებით ჭერჯერობით

არ სრულდება არცერთი სახის სამუშაო. ასეთი მდგომარეობა მეურნეობის გაღწი არ უნდა გაგრძელდეს. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ მეურნეობების ზერებზე საქმის ღრმა ცოდნით, სრულყოფილად ინერგებოდეს კომპლექსური მექანიზაცია, რაც შრომის ნაყოფიერების ზრდის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა.

ამ საქმეში მევენახეობის კოლმეურნეობებს სათანადო კონტროლი და დახმარება უნდა გაუზიოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და „საქართველოს მექანიზაცია“. მათ მეტი მუზანგელობა და დაინტერესება მართებთ ინისათვის, რათა აჭარის მევენახეობის რაიონების კოლმეურნეობებს საჭირო რაოდენობით ჰქონდეთ ზერებზე სამუშაო მანქანა-იარაღები, სათადარიგო ნაწილები, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ტექნიკის სრული ექსპლოატაცია.

აჭარაში მევენახეობის შემდგომი აღმავლობა ძოითხოვს, რომ პარტიულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა მთელი პასუხისმგებლობით მოჰკიდონ ხელი ამ მნიშვნელოვანი დარგის განვითარებას. მოცავა ის არის, რომ სრულად ავამოქმედოთ არსებული რეზერვები, გამოუყენებელი არ უნდა დარჩეს ამ დარგის არც ერთი როვლი, რომლებზეც დამოკიდებულია ყურძნის მოსავლიანობის ზრდა და ნედლეულის ხარისხის შემდგომი ამაღლება.

უნდა აღინიშნოს, რომ 1973-1974 წლებში ვენახების დათვალიერებით მეტად სასარგებლო საქმე გაკეთდა. მარტო ამ ორ წელიწადში ვენახებში შეიტანეს 11.706 ტონა ნაკელი, ასეთი რაოდენობით ზერებზე სასუქები წინათ არასოდეს შეუტანიათ.

ზემოხსენებულ ღონისძიებათა განხორციელებით გაიზრდება ყურძნის მოსავლიანობა და, აქედან გამომდინარე, კოლმეურნეობათა ფულადი შემოსვალიც, რაც თავის მხრივ სტიმულს მისცემს ჩვენს რესპუბლიკაში მევენახეობის რენტაბელურ დარგად გადაჭცევას.

## აბორიგენული ვაზის თეორი ზურდის პერსპექტიული ჯიშები\*

**ბროლა.** ამ ჯიშის ყურძნის მარცვალი ფორმით მრგვალია და გამჭვირვალე კანი აქვს. განსაკუთრებით ლამაზია სიმშიფის პერიოდში.

ძველად ბროლა ფართოდ ყოფილა გავრცელებული აჭარის მაღალმთიან რაიონებში, მაგრამ სოკოვანი დაავადებისა (ჭრაქი, ნაცარი) და მოუვლელობის გამო ერთბაშად განადგურებულა.

\* მ. რამიშვილი, გურიის, სამეგრელოსა და აჭარის ვაზის ჯიშები. თბილისი, 1948.

ამჟამად ერთეულს ნარგავებს ვხვდებით. იგი მაღლარი ვაზია და მიშვებულია მაღალ ხეებზე. ამიტომ მხოლოდ ხელსაყრელი ამინდებული პირობებში იძლევა მაღალ და ხარისხოვან მოსავალს.

შემოსული რქა თითქმის საშუალო სიმსხოსია; მტევანი თხელია, იშვიათად საშუალო სიმკვრივის.

ყვავილობის პირველი ნიშნები ემჩნევა 5-7 ივნისიდან და მასობრივად ყვავილობს 11-12 ივნისამდე. ხელსაყრელი ამინდების დროს ყვავილობა 20 ივნისისათვის მთავრდება. მასობრივად მწიფებება 15 ოქტომბრიდან.

ბროლა საშუალო ზრდა-განვითარებით ჩასიათდება. მაღლარად გაშვებულ ვაზზე ცალკეული რქების განვითარება ხშირად 1,5 მეტრამდე აღწევს.

ხელსაყრელი ამინდების პირობებში ერთი ძირი ბროლა იძლევა 35 კილოგრამ ყურძენს, ზოგ შემთხვევაში მეტსაც. ეჭვს გარეშეა, რომ აგროტექნიკური ოპერაციების თავის დროზე და ხარისხიანდ შესრულების შედევრად საგრძნობლად გაიზრდება როგორც მოსავლინობა, ასევე პროდუქციის ხარისხი.

სოკოვან დაავადებათა მიმართ ბროლა სუსტ გამძლეობას იქნება, განსაკუთრებით ავადდება ჭრაქით.

მოსავლის გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ამ ჯიშის ვაზი უნდა გავამრავლოთ ნამყენით და ლაბლარი ვენახი გავაშენოთ სამხრეთით ფერდობებზე.

აჭარის თეთრყურძნიანი ვაზის სალვინე ჯიშებს შორის ბროლა უდაოდ ყურადღების ღირსია. მისი პროდუქცია წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ადგილობრივი მნიშვნელობის თეთრი სუფრის ლეინოგების დასამზადებლად; წვენის გამოსავალი 78-79 პროცენტს შეადგენს.

ყურძნის სრული სიმწიფის პერიოდში შაქრიანობა აღწევს 19,1-20,6 პროცენტს, საერთო მჟავიანობა — 9 %.

აჭარის მაღალმთიან რაიონებში მევენახეობის შემდგომ განვითარებას საფუძვლად უნდა დაედოს ბროლას მასობრივად გაშენება დაბლარად, ნამყენის სახით.

კლარჯული. კლარჯული თეთრყურძნიან ვაზის ჯიშს ეკუთვნის და მისი ნაყოფი გამოირჩევა კარგი საგემოვნო თვისებებით, ტრანსპორტის გარეგნული სილამაზით; უხვი მოსავლიანობით იგი სამართლიანად იქცებს პირველ ადგილს აჭარაში გავრცელებულ სუფრის ყურძნის ჯიშთა შორის.

როგორც სახელწოდებილან ჩანს, „კლარჯული“ შემოტანილია 2 გ. ნუცუბიძე

კლარჯეთიდან, სადაც ამ ვაზის განვითარების შეტად ხელაუფაფელი ეკოლოგიური პირობები არსებობს.

სოკოვანი დაავადებისა და ფილოქსერის შემოტანამდე კლარჯული მასობრივად იყო გავრცელებული ზემო აჭარის რაიონებში მაღლარის სახით. ადგილობრივი მოსახლეობა მას ძირითადად ყურძნად იყენებდა. ამისათვის ყურძენს დაუკრეფავად ტოვებდა ვაზზე და ხშირად ზამთარში კრეფდა.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის გავრცელების შედეგად კლარჯულის ნარგავები თითქმის განადგურდა. ამჟამად მისი მხოლოდ ერთეული მაღლარებია გადარჩენილი ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონების მთისპირა სოფლებში.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსა, ლია ყავისფერი, ცალკეული რქები ძლიერ უვითარდება; ახასიათებს საქმაოდ მსხვილი პწელები, რის გამოც საყრდენზე რქების მოცილება ძნელია.

ზრდადამთავრებულ ფოთოლს, რომელიც თხელი და საშუალო სიდიდისაა, ლია მწვანე ფერი აქვს.

კლარჯულის ყვავილი ორსქესიანია ნორმალურად განვითარებული ბუტკოთი და მტვრიანებით.

მტევნის საშუალო სიგრძე 15-18 სანტიმეტრს აღწევს, სიგანე — 10-13 სანტიმეტრს.

მარცვალი ყვითელ-მომწვანოა, მზის მხრიდან კი მოყვითალო-ჭარვისფერი, სქელვანიანია, უფრო ხორციანი, ნაკლებ წვნიანი და ტკბილი გემოსია.


ყვავილობს ივნისის პირველი დეკადიდან 20 ივნისამდე; ყურძნი დამზიდებას იწყებს 20-25 აგვისტოდან და მასობრივად შემოდის ოქტომბრის ბოლოსათვის.

კლარჯული ხასიათდება საშუალოზე მეტი მოსავლიანობით. ერთ მაღლარზე 40-50 კილოგრამი ყურძენი ჩამოდის.

სოკოვან დაავადებათა მიმართ, განსაკუთრებით კი ჭრაქის წინააღმდეგ, იგი ნაკლებ გამძლეა.

აჭარის პირობებში ატმოსფერული ნალექების სიუხვე, ჰაერის დიდი ტენიანობა და სავეგეტაციო პერიოდში სითბო ხელს უწყობს ვაზის სოკოვან ავადმყოფობათა განვითარება-გავრცელებას. ამიტომ აუცილებელია ვენახის გასაშენებლად შეირჩეს სამხრეთის ან სამხრეთ-აღმოსავლეთის მზით განათებული ფერდობები. კლარჯულის ვაზს უნდა მიეცეს ამაღლებული შტამბი და, როგორც ძლიერად მოზარდი ჯიში, დაიტვირთოს რამდენიმე სანაყოფით, თითოეულზე 8-10 კვირტის დატოვებით.

კლარჯული მტევნის საშუალო წონა 232 გრამს აღწევს, შაქრიანობა — 17,2-19,5 პროცენტს, საერთო მუავიანობა — 9,2 %.



ქლარგული

კლარჯულის მასობრივად დანერგვა მიზანშე წონილია კავკაციური თისა და ხელვაჩაურის რაიონების მაღალ ზონებში, მიზე უკონდებ ცია უნდა გამოვიყენოთ სუფრის ყურძნად ადგილობრივი მოსახლეობისა და ჩამოსულ დამსვენებელთათვის.

თეთრი კაიკაციშვილის ეული. ეს ჯიში აჭარის თეთრყურძნიან და ხარისხოვან სუფრის ყურძნის ჯიშთა გუფს ეკუთვნის.

მისი გავრცელების შესახებ წერილობით მასალები ან მოგვიპოვება, ადგილზე კვლევით დადასტურდა, რომ კაიკაციშვილის ეულ წარსულში ხარობდა მხოლოდ ქობულეთის რაიონში და ამჟამადაც საუკუნოვანი ძირები (მაღლარების სახით) ისევ ქობულეთის რაიონი მთისპირა სოფლებში გვხვდება. ზოგიერთი ამ ჯიშს „თეთრს“ უწოდებენ, თუმცა არავითარი მსგავსება არა აქვს ზემო აჭარაში გვრცელებულ თეთრყურძნიან ჯიშთან, რომელსაც იქაც „თეთრს“ უწოდებენ. გადმოცემით ეს ჯიში კაიკაციშვილის წინაპართ ტყიდან წმოულიათ, როგორც უხვმოსავლიანი, მაღლარების სახით ფართო გაუკრცელებიათ თავიანთ საკარმილამო ნაკვეთებში. რაკი ჯიშს და კარგული აქვს თავისი ნამდვილი სახელი, ზემო აჭარაში გავრცელებული თეთრისაგან განსხვავებულად მას შემომტანის გვარის მოხედვით უწოდეს კაიკაციშვილის ეული.

ამ ვაზის ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალოზე მცირე ასაშუალო ნიდიდისაა. საერთო მოყვანილობით მომრგვალო ან ოდნავ რვალურია, მცირედაა დანაკვთული, მისი საშუალო სიგრძე 12,8-13,5 სმ-ს აღწევს, სიგანე — 12,4-13,9 სმ-ს.

ფოთოლის ყუნწის ამონაკვეთი ისრისებურია, მომრგვალო ფუძით. ფოთოლი სამნაკვთიანია, ქვედა მხარე მცირედაა შებუსვილი მისი ზედაპირი ბადისებურად არის დანაოჭებული. შემოსული რქისაშუალო ნიმსხლისა, მისი მუხლები უფრო მეტად არის შეფერილ მუხლთა შორის სიგრძე 7-13 სანტიმეტრს აღწევს.

აქვს ორსქესიანი ყვავილი ნორმალურად განვითარებული ბუტკოთი და მტვრიანებით.

მტევნის საერთო ფორმა ცილინდრულ-კონუსისებურია. ყვავილობის პირველი ნიშნები 6-8 ივნისიდან ემზევა და ამინდის ნორმალურ პირობებში 18-20 ივნისამდე მთავრდება. ყურძნის შეთვალვა 20-25 აგვისტოდან იწყება და ამავე თვის ბოლოს მთავრდება.

რქები სრულ მომწიფებას აღწევს ყურძნის მასობრივი მწიფობის პერიოდში და ამ დროისათვის ჯიშის დამახასიათებელ ელფერი ღებულობს, კაიკაციშვილის ეული მაღლარი მოკლებულია სათანადო მოვლას, მიუხედავად ამისა, იგი ძლიერი განვითარებით ხასიათდება და სავეგეტაციო პერიოდში მისი რქები 2,5 მეტრამდე იზრდება.

ხელასყრელი ამინდის პირობებში კაიკაციშვილის ეული მეტად

უხევისა და მოსავალს იძლევა — ერთი ძირი ხშირად 40-50 კილოგრამ ყურადღებული რჩება.

მტევნის წონა საშუალოდ 450-500 გრამია, ზოგჯერ ერთ კილოგრამზე მეტიცაა. წვენის გამოსავალი 71 პროცენტს შეადგენს.

სამეურნეო დანიშნულებით კაიკაციშვილისეული სუფრის ყურძნის ჭიშია და ამ მხრივ იგი სავსებით აქმაყოფილებს მოთხოვნილებას, როგორც მტევნების ფორმით, სიდიდით, მარცვლების სიმსხოთ და სილამაზით, ასევე საგემოვნო თვისებებით, ტრანსპორტაბელობითა და შენახვის უნარიანობით. მისი პროდუქცია წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ხარისხოვანი თეთრი სუფრის ღვინოების დასახადებლად. ამიტომ კაიკაციშვილისეულმა აჭარის თეთრყურძნიან ჭიშებს შორის საპატიო აღგილი უნდა დაიკავოს და მისი გავრცელება ყოველმხრივ გამართლებულია ქაბულეთისა და ხელვაჩაურის რაიონების მთისპირა სოფლებში.

თეთრა. თეთრას სახელწოდებით ვაზის სხვადასხვა ჭიში გვხდება კახეთში, რაჭა-ლეჩხუმშა, გურიაში, სამეგრელოსა და აჭარაში. მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან, როგორც მშენებელობის ნიშნებით, ისე ყურძნის პროდუქციის ხარისხითა და სამეურნეო დანიშნულებით.

ივ. ჭიშებიშვილი აღნიშნავს, რომ ყურძნის არა ერთი ჭიშის განმასხვავდებელ სახელწოდებად ქართველ მევენახებს მარცვლის თეთრფერიანობა მიუჩნევიათ. და ეს სახელები საუკუნეთა მანძილზე დაფუძნებულია საქართველოს ზემოხსენებულ კუთხეებში.

აჭარის ვაზის აბორიგენულ ჭიშებს შორის თეთრა ძველთაგანვე ცნობილია. იგი უხვმოსავლიანი საკმაოდ მაღალხარისხოვანი პროდუქციის მომცემი სალვინე და სასუფრე ყურძნის ჭიშია. წარსულში თეთრა ფართოდ იყო გავრცელებული აჭარის მაღალმოიანი რაიონების სოფლებში.

ისე, როგორც სხვა მაღლარი ჭიშები, სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერას მოქმედებით თეთრაც ძალზე შემცირდა, მაგრამ სხვა ჭიშებთან შედარებით იგი მაინც მეტი რაოდენობით გაღარჩა, განსაკუთრებით ხულოს რაიონში (სოფ. დეკანაშვილები, ჩაო, ოქტომბერი, ფურტიო). თეთრა ხელსაყრელი ამინდების პირობებში კარგ მოსავალს იძლევა.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსია, ყავისფერი, მუხლები უფრო მუქად აქვს შეფერილი.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდისაა და ფორმით მომრგვალო ან ოდნავ ოვალურია. ყვავილი ორსქესიანია, ნორჩალურად განვითარებული ბუტკოთი და მტვრიანებით.

მტევნის საერთო ფორმა ცილინდრულ-კონუსისებურია, საშუა-



ପାଇଁବାଲାଙ୍ଗିଶ୍ଵରିଲାଙ୍ଗିଶ୍ଵର

ლო სიმკვრივისაა, გვხვდება თხელი მტევნებიც. მარცვალი ლა მჭიდრული განება, საშუალო სიღილის, ფორმით მომრგვალო ან ოდნავ ოვალური; საკმაოდ სქელკანიანია, წვნიანი და ხორციანი, სასიამოვნოდ ტკბილი.

კვირტების გამობერვა იწყება პრილის დამდევიდან, ყვავილობა — 12-13 ივნისიდან და გრძელდება 24-25 ივნისამდე. ყურძენი შეთვალვას იწყებს აგვისტოს ბოლოს და მასობრივად მწიფდება იქტომბრის ბოლოსათვის.

თეთრა უხვმოსავლიანი ჯიშია. ხელსაყრელი ამინდის პირობებში ერთი ძირი მაღლარი 50-60 კილოგრამ ყურძენს იძლევა. რქაზე ხშირად ორი მტევანი ვითარდება.

იქ, საღაც თეთრა გაშენებულია სამხრეთ ფერდობებზე, მეტად მაღალხარისხოვან პროდუქტის იძლევა (სოფ. ოქტომბერი, ფურტიო, ვაიო). ამიტომ მომავალში იგი უნდა გავამენოთ სამხრეთით ან სამხრეთ-აღმოსავლეთით განლაგებულ ფერდობებზე. მზით უხვად განათებულ ადგილებში. უდაოა, რომ კულტურულ პირობებში მისი დაბლარად გაშენება გაცილებით უკეთესი ხარისხის პროდუქტის მოგვცემს.

თეთრას ყურძენი ტრანსპორტაბელურია და დაკრეიტილი კარგად ინხება მთელი ზამთრის განმავლობაში. ყურძენი ვაზზე იანვ-რამდე რჩება და არ ჰქონება.

სრულ ტექნიკურ სიმწიფეში შაქრიანობა 20 პროცენტამდე აღწევს, ხოლო მევავიანობა — 9-10 %.

მტევნის საშუალო წონა 150-160 გრამია.

თეთრა საყურადღებო ჯიშია, განსაკუთრებით ზემოაჭარისათვის. მაღალმომავალი სოფლებში ეს ჯიში უნდა გაშენდეს დაბლარად ნამყენის სახით. ხულოს რაიონში ალიგოტეს ჯიშის ვაზის გაშენებასთან ერთად უნდა გავრცელდეს თეთრაც.

ჯავახეთურა. თეთრყურნინიან ჯიშებს შორის ჯავახეთურა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, როგორც სააღრეო და მაღალხარისხოვანი პროდუქტის მომცემი სუფრის ყურნინის ჯიში. იგი ასწლოვანი მაღლარების სახით გავრცელებულია ხულოს რაიონის სოფლების — ჩაოსა და ფურტიოს მიღამოებში.

ეს ჯიში რომ აჭარაში იყო გავრცელებული, ამის შესახებ ოფიციალური წერილობითი ცნობები არ არსებობს. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, იგი ჯავახეთიდან უნდა იყოს შემოტანილი. აღსანიშნავია, რომ ჯავახეთში ისტორიულად და ახლაც მევენახეობა ნაკლებადაა განვითარებული. საფიქრებელია, რომ ყურნინის ეს ჯიში მესხეთიდან ზემო აჭარაში გაავრცელა ვინმე დაინტერესებულმა პი-

რმა; ამ მოსაზრებას ადასტურებს მესხეთში ვაზის სხვა გემობრივი ფორმები ფართოდ გავრცელება.

როგორც ამპელოგრაფიული ნიშნებით (ფოთლის მორფოლოგიური აგებულებით, ყვავილის ტიპით, მტევნის მოყვანილობით, მარცვლის ფერით, ფორმითა და სიდიდით), ისე სამეურნეო დანიშნულებით ჯავახეთურა სუფრის ხარისხოვანი ყურძნის ჯიშს განეკუთვნება.

ეს ვაზი კარგადაა შეგუებული ზემო აჭარის ეკოლოგიურ პორობებს და, მიუხედავად მოუვლელობისა (მაღლარი), კარგი ამინდის პირობებში უხვსა და მაღალხარისხოვან მოსავალს იძლევა.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსი და ღია ყავისფერია. ზრდა დამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდისაა, მოყვანილობით მომრგვალო ან ოდნავ ოვალურია, ყვავილი ორსქესიანია.

მტევნაზე ცილინდრულ-კონუსისებრია და სიგრძის ერთ მესამედზეა განტოტვილი.

თხელკანიანი მეტად ტკბილი და სასიამოვნო გემოს მარცვალ აქვს.

ყვავილობას ამთავრებს 25 ივნისამდე. ყურძნის შეთვალვა იწყება 15-20 ავგისტოდან და მასობრივად მწიფდება ოქტომბრის ბორველი დეკადიდან.

ვაზი ძლიერი ვეგეტაციისაა, ზრდის პერიოდის დასასრულისათვის ცალკეული რქები სიგრძით 2-2,5 მეტრს აღწევს.

სოკოვანი დაავადებების მიმართ ჯავახეთურა სუსტგამძლეობას იჩენს. განსაკუთრებით ავადდება ჭრაქით.

ჯავახეთურა უხვმოსავლიანი ჯიშია. რქაზე ხშირად ორი მტევნი ვითარდება. კარგი ამინდის პირობებში ერთი ძირი მაღლარის მოსავალი 40-50 კილოგრამს აღწევს. სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ნაკვეთებში (სოფ. ოქტომბერი, ფურტიო) ეს ჯიში გაცილებით მაღალი ღირსების ყურძენს იძლევა. ამიტომ შემდგომში იგი უნდა გაშენდეს მზით უხვად განათებულ ადგილებში. როგორც ძლიერ მზარდი ჯიში, მისი გასხვლა-ფორმირება უნდა მოხდეს ოლინგარული წესით, რამდენიმე სანაყოფის დატოვებით. წევნის გამოსავალი 71,5 პროცენტს შეადგენს, სრული მწიფობის პერიოდში ყურძნის შაქრიანობა 21,3 პროცენტია, ხოლო მუავიანობა — 9,1 % აღწევს.

ჯავახეთურა ხარისხოვან სუფრის ყურძნის ჯიშთა ჯგუფს მიეკუთვნება. ვაზის ძლიერ ზრდასთან ერთად მას უვითარდება თხელი აგებულების დიდი მტევნები ლამაზი მოგრძო მარცვლებითა და მაღალი საგემოვნო თვისებებით. ამასთანავე იგი საყურადღებოა, როგორც შედარებით სააღრეო ჯიში. ზემო აჭარაში (ხულოში) ჯავახე-



თურა თითქმის ყველა ადგილობრივი ვაზის ჯიშს ასწრებს დამწერაცხალი ფეხას, რაც მეტად მნიშვნელოვანია მაღალმთიანი ზონისათვის კულტურული ვფიქრობთ, რომ დაბალ ზონაში მისი გავრცელება გაცილებით უკეთეს შეღეგს მოგვცემს. ამგვარად, აჭარის მაღალმთიან ზონებში შევენახეობის შემდგომ განვითარებას საფუძვლად უნდა დაედოს ჯავახეთურას ფართოდ გავრცელება.



ჯავახეთურა

**ხოდათური.** აჭარული ვაზის ჯიშებს შორის ხოთათური განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, როგორც მაღალხარისხოვანი ბროდუქციის მომცემი სუფრის ყურძნის და საღვინე ჯიში.

ლიტერატურული წყაროები ამ ჯიშის აჭარაში გავრცელების

“შესახებ არ არსებობს, მხოლოდ ერთგან ერ. ნაკაშიძეს აუტორიზებული ნიებული თავის შრომაში (16) „ქვაფათური“, რომელიც გავრცელებული ყოფილა გურიაში (სოფ. გურიანთაში, ლანჩხუთში, კახურში). ს. ტიმოფევი (21) მოკლედ აღწერს ხოფათურს და მას მიაკუთვნებს პჭარის ვაზის ჯიშთა ჯგუფს. აკად. ივ. გავახიშვილის აზრით (1) „ქვაფათური უნდა წარიმოადგენდეს ხოფათურის ფონეტიკურ სახეცვლილებას და გავრცელებული უნდა ყოფილიყო სოფელ ხოფას მიდამოებში, საიდანაც წარმოსდგა თვით ჯიშის სახელწოდებაც.

ხოფათური ძველად უპირატესად გავრცელებული იყო შუა და ზემო პჭარის მიკრო რაიონებში თაღლარის სახით. მოსახლეობა მას ყურძნად იყენებდა და, როგორც ძვირუას სუფრის ყურადღესს, დადი გასავალი პქონია ბათუმის ბაზარზე. გარდა ამისა, ამზადებდნენ ყურძნის წევნსა და ბაზარს.

ამჟამად ხოფათური (მაღლარი) აჭარაში ცოტა რაოდენობით გვხვდება, რაც სოკოვან დაავალებათა და ფილოქსერის მავნე მოქმედების შედეგია.

ძირითადად ეს ჯიში შემორჩენილია ქედის ოაიონში სოფელ სიხალიძეებში, მეძიბაში, აგრეთვე ვხვდებით შუახევის რაიონის მიდამოებში. ეს ვაზი მხოლოდ კარგი არის და მიმდევა ხასიათდება ნორმალური ზრდა-განვითარებით, უხვი მოსავლიანობითა და ხარისხოვანი პროდუქციით. ხოფათურის დაბლარი ვენახები მცირე რაოდენობით მოიპოვება ქედის საკოლექციო ნაკვეთში და შუახევის რაიონის სოფელ შუახევის კოლმეურნეობაში.


შემოსული რქა საშუალო სიმსხოსია. ზრდადამთავრებულ, ფოთოლი საშუალო სიდიდის ან საშუალოზე მცირეა, საერთო მოხაზულობით განივ-ოვალური ან მომრგვალოა, სამნაკვთანია. წვერის ნაკვეთი ფოთლის ფირფიტასთან ქმნის ბლაგვ კუთხეს. ყვავილ ორსქესიანია. მტევნის საერთო ფორმა ცილინდრულ-კონუსისებურია, განტოტვილი და თხელი. შარცვალი ლია მწვანეა, მზის მხრიდან მოქარვისფერო ელფერი დაჭრავს, საშუალო სიღიღის ან მსნვილია.

ქედის რაიონში ხოფათურს ყვავილების პირველი ნიშები 6-7 ივნისიდან ემჩნევა და ხელსაყრელი ამინდის პირობებში 17-18 იუნისამდე მთავრდება. ყურძნის შეთვალვა აგვისტოს ბოლოს იწყება და მასობრივად 20-25 ოქტომბრიდან მწიფდება.

ხელსაყრელი ამინდების დროს ხოფათური საშუალოზე მეტ მოსავალს იძლევა. ერთ ძირ მაღლარზე ხშირად 25-30 კილოგრამი ყურძნენი ჩამოდის, რქაზე ზოგჯერ ორი მტევანი იცის, უფრო ხშირად კი ერთი.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ ვაზის ეს ჯიში სუსტ გამოიყენება  
ლეობას იჩენს, განსაკუთრებით ავადდება ჭრაქით.

მოსავლიანობის გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუზ-  
ჯობესების მიზნით, ხოფათური მომავალში უნდა გავაშენოთ ღაბ-  
ლარად ნამყენის სახით.



ხოფათური

საჭირო აგროტექნიკურ ღონისძიებათა დროულად და ხარისხი-  
ანად გატარებით ხოფათური თავისი მაღალხარისხოვანი პროდუქცი-  
ით უდაოა პირველ ადგილს დაიკერს აჭარის თეთრყურძნიანი ვაზის  
ჯიშებში.

ხოფათური სუფრის ყურძნის ჯიშია და ამ მხრივ იგი სავსებით

აქმაყოფილებს მოთხოვნილებას, როგორც მტევნებისა და მურავების, გარეგნული სილამაზით, ისე ყურძნის ტრანსპორტულებულებით, შენახვის უნარიანობითა და მაღალი საგემოვნო თვისებებით. იგი წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე საკმაოდ ხარისხოვანი სუფრის ღვინოების დასამზადებლად.

ყურძნის სრული მწიფობის პერიოდში შექრიანობა შესში 19,8-20 პროცენტს აღწევს, საერთო მუავიანობა — 9 %. როგორც ხარისხოვანი სუფრის ყურძნის და საღვინე ჯიში, იგი მომავალში ფართოდ უნდა გავრცელდეს ხელვაჩაურის და ქობულეთის რაიონების მთისპირა ზონებში, რათა მისი პროდუქციით უხვად მოვამარავოთ ქალაქის მოსახლეობა და დამსვენებლები.

## აბორიგენული გაზის აითელი ზურდის პერსპექტიული ჯიშები

ტაკიძურა წითელყურძნიანი საღვინე ჯიშია. გავრცელებულია მაღლარის სახით, მხოლოდ ქობულეთის რაიონის სოფ. ხუცუბნის, სამების, კვირიკვესა და მუხხაესტატეს მიდამოებში.

გადმოცემით ეს ჯიში შემოტანილი ყოფილა ვინმე ტაკიძის მიერ, რომელსაც გაუშენებია სოფ. ხუცუბანში მაღლარის სახით. რადგან ჯიშის სახელი არ სცოდნიათ, მოსახლეობას შემომტანის გვარი დაურქმევია (ტაკიძე და აქედან ტაკიძურა).

წარსულში აღნიშნული ჯიში მასობრივად ყოფილა გავრცელებული ქობულეთის რაიონის მთისპირა სოფლებში და გურიის მოსაზღვრე ადგილებში. ადგილობრივი მოსახლეობა მას იყენებდა საოჯახო მოხმარების ღვინოების დასამზადებლად, აგრეთვე ყურძნის წვენისათვის, ინახავდნენ ყურძენს აყიდოების სახით მთელი ზამთრის განმავლობაში.

კარგი ამინდის პირობებში ტაკიძურა იძლევა უხვ მოსავალს და საკმაოდ საღ ხარისხოვან პროდუქციას.

ტაკიძურას ახასიათებს ძლიერი ზრდა-განვითარება, სავეგეტაციო პერიოდის დასასრულისათვის რქების განვითარება სიგრძით 3-3,5 მეტრს აღწევს.

მეტად საინტერესოა მტევნის აგებულება. სხვა ადგილობრივ ჯიშებთან შედარებით მას უვითარდება მსხვილი და გრძელი მტევნები (20-35 სმ.) მხოლოდ მტევნი შუამდევ შევსებული მარცვლებით, შუას ქვემოთ კი მარცვლები თითქმის აღარ არის, ცარიელია ან მასზე განვითარებულია 5-10 ცალი მარცვალი. მიუხედავად იძინა, რომ ყვავილის აღნაგობა სავსებით ნორმალურია, მიზეზად ის



უნდა ჩაითვალის, რომ ეს ჯიში ძალიან მაღლა მიღის ხეებზე, თუ — შეს გარეულია. მისი კულტურულ ფორმებში დაბლარად გაშენებული იყო უსაუოდ გამოასწორებს ამ ნაკლ, მოსავლიანობით პირველ ადგილ დაიკავებს აჭარის წითელყურძნიან ვაზებს შორის.

სოკოვან ავაღმყოფობათა მიმართ სუსტი გამძლეა, განსაკუთრებით ავადდება ჭრაქისაგან.

ტაკიძურა დანიშნულებით საღვინე ჯიშია, მისი პროდუქცია წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული ორდინალური ტიპის ლვინოების დასამზადებლად.

1934-35-36 წლებში ქ. ბათუმში ადგილობრივი მრეწველობის მიერ დაზიანდებულმა ტაკიძურას ლვინომ კარგი შეფასება მიიღო.

დიდი მტევნის წონა 400 გრამია, მცირესი კი 145 გრამი. წვენის გამოსავალი შეაღენს 78,5 პროცენტს. ტაკიძურას ყურძენი კარგად ინახება. ვაზზე დატოვებული დეკემბრის ბოლომდე ძლებს, მხოლოდ ჭირობას განიცდის.

როგორც უხვმოსავლიანი და ამავე ღროს საჭმაოდ ხარისხოვანი პროდუქციის მომცემი, ტაკიძურა საყურადღებო ჯიშია. მისი მასობრივად გაშენება მიზანშეწონილად მიგვაჩნია მხოლოდ ნამყენის სახით, დაბლარად, ქობულეთის და ხელვაჩაურის რაიონების მთისპირა სოფლებში.

საწურავი აჭარაში წითელ ყურძნიან ადგილობრივ ჯიშებთა შორის ყველაზე მეტად არის გავრცელებული როგორც უხვმოსავლიანი. მისი პროდუქცია ქედის პირველადი გადამუშავების ლვინის ქარხანაში გამოყენებულია ორდინალური ტიპის მასობრივი მოხმარების ლვინოების დასამზადებლად, საკონიაკე ლვინის მასალად, ყურძნის წვენის წარმოებისათვის და ჭაჭის ნარჩენებისაგან შზადებება ნედლეული — სპირტი.

საწურავი ძლიერი ზრდის ჯიშია. განსაკუთრებით მეტად განვითარდა მაღლარიდან გადმოტანილი — დაბლარად აღზრდილი ვაზები, ეს ჯიში ადგილობრივ და შემოტანილ ჯიშებთან შედარებით უფრო მეტ გამძლეობას იჩენს სოკოვან დაავადებათა მიმართ.

უცხოეთის მიერ ამ მხარის დაპყრობის დღიდან, მოსახლეობის გამაპირინების შემდეგ, ლვინის სმის აკრძალვასთან დაკავშირებით საწურავის გავრცელების არეალი სხვა მაღლარ ჯიშებთან ერთად საგრძნობლად შემცირდა. მასთან დაემატა შემდგომში სოკოვან ავაღმყოფობათა და ფილოქსერის გავრცელება.

ამჟამად საწურავის მაღლარები მხოლოდ ერთეული ძირის სახით არის გადატარენილი ქედისა და ხულოს რაიონებში (სოფ. ჩაოში, ფურტიოში, გაიოში და სხვა). საწურავი როგორც ჭრაქის და ნაცრის კარგი გამძლე, ამავე ღროს უხვმოსავლიანია. ადგილობრივ მცხოვ-

რებთა შორის დიდი სიყვარული დაიმსახურა, ამიტომ მასი შეუძლია შენდება დაბლარად კოლმეურნეობებში და კოლმეურნეთა მოქალაქეთა დამო ნაკვეთებზე.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსია, ზოგ შემთხვევაში საშუალოზე მსხვილი. ღია ყავისფერია. ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიდიდის ან საშუალოზე დიდია. მტევნის სიგრძე 14-26 სმ. სიგანე 9,5-17 სმ. მტევნები ძლიერ მკერივია, გვხვდება საშუალო სიმკერივის მტევნებიც. მარცვალი მუქი წითელია, საშუალოზე მსხვილი, მისი საშუალო სიგრძე აღწევს 16,4 სმ. სიგანე — 15,5 სმ. მცირედ ოვალური და იშვიათად მომრგვალოა, სიმეტრიულია და თხელკანიანია, მეტად შვინანია.

ქედის რაიონის სოფ. ვაიოს ზონაში საწურავის სავეგეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლივობა, კვირტის გამოფურჩქვნილან ფოთლების დაცვენამდე 242 დღეს უდრის. ვაზის გამოღვიძება იწყება მარტის ბოლო რიცხვებიდან, კვირტების გამოფურჩქვნა კი მიმდინარეობს აპრილის პირველი რიცხვებიდან, ყვავილობის პირველი ნიშნები ემჩნევა ივნისის დასწყისში და 13-14 ივნისამდე მთავრდება, ყურძნის შეთვალება იწყება აგვისტოს მეორე ნახევრიდან და მასობრივ სიმწიფეში იქტიომბრის მეორე ნახევრიდან შედის.

საწურავი ძლიერ ზრდადი ჯიშია, განსაკუთრებით მეტად მძლავრად ვითარდება დაბლარად გაშენებული ვაზები, სათანადო მოვლის შედეგად სავეგეტაციო პერიოდის დასასრულისათვის რქების სიგრძე სამ მეტრამდე აღწევს. რქები სრულ მომწიფებას ასწრებ ყურძნის მასობრივი სიმწიფეის პერიოდისათვის.

მოსავლის პირველ ნიშნებს საწურავი იძლევა მეორე-შესამეწელს, სრულ მოსავლიანობაში შედის მეოთხე წლიდან, ახასიათებს უხვი მოსავლი. ერთი ძირი დაბლარი ვაზი ისხამს 3-4 კილოგრამ ყურძნებს, რქაზე ხშირად ორი მტევანია, მაღლარზე საწურავის მოსავლიანობა ცვალებადია.

მარცვლების მომწიფება მტევანში უთანაბროდ მიმდინარეობს, რაც საწურავის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა.

სოკოვან დავადებათა მიმართ, როგორც აღვნიშნეთ, ადგილობრივი ვაზის ჯიშებთან შედარებით საწურავი უფრო მეტ გამძლეობას იჩენს.

საწურავი საღვინე ჯიშია, უხვმოსავლიანობისა და წვენის ბარაქიანად გამოსავლიანობის გამო, მისი პროდუქცია წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნეს ყურძნის წვენის დასამზადებლადაც.

მტევნის საშუალო წონა 288 გრამია, წვენის გამოსავალი 82 კროცენტს, მსხვილი მტევნის წონა აღწევს 1 კგ-ს, ზოგ შემთხვევაში 1,5 კილოგრამსაც. ყურძნის სრული სიმწიფის პერიოდში შაქრი-

ანბა შეაღეს 18-19 პროცენტამდე, საერთო მფავიანობა 9-10 %-ის გადასაზღვრული ყურძენი ტრანსპორტს ვერ იტანს, არც ინახება.

ორდინარული ტიპის მასობრივი მოხმარების ღვინოების დასაშხადებლად და აგრეთვე ყურძნის წვენის წარმოებისათვის, საწურავი ფართო ყურადღების ღირსია და პისი გავრცელება როგორც აქარის, ისე დასავლეთ საქართველოს მთის პირად მდებარე რაიონებში საკებით მიზანშეწონილი იქნება.

**ცხენისძუძუ.** ცხენისძუძუს სახელწოდებით საქართველოში სხვა ჯიშებიც არის ცნობილი. მას ვხვდებით კახეთში, ქართლში, მესხეთში, რაჭაში და გურიაშიც. იგი ამ სახელს ატარებს მისი მარცვლების ცხენისძუძუსთან მსგავსების გამო, მაგრამ აღნიშნულ რაიონებში ეს ჯიშები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან ამპელოგრაფიული ნიშან-თვისებით.

საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხენისძუძუ, თურქულად „ათმემეს“ სახელწოდებით, აღწერილი აქვს ს. ნ. ტიმოფეევს (21), რომელიც მას სუფრის ყურძნის ჯიშთა ჯგუფს აკუთვნებს.

ადგილებზე შემოწმებით დადასტურდა, რომ ცხენისძუძუ, როგორც სუფრის ყურძენი, წარსულში ფართოდ ყოფილა გავრცელებული მაღლარების სახით, განსაკუთრებით აჭარის მაღალმთიან რაიონებში. ამ ჯიშის პროდუქციას მოსახლეობა მხოლოდ ყურძნად იყენებდა და დიდი რაოდენობით იყიდებოდა ქ. ბათუმის ბაზარზე.

ეს ჯიში, ისე როგორც სხვა მაღლარი ჯიშები, სოკოგან ავადმყოფობათ და ფილოქსერის გავრცელების შემდეგ, საგრძნობლად შემცირდა. ერთეული ძირების სახით მოიპოვება ქედის, შუახევის და ხულოს რაიონებში. (სოფ. დეკანაშვილებში, ფურტიოში, ვაიოში, სიხალიძეებში).

ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი ზედა მხრიდან მომწვანოა. შექი მოწითალო ელფერით. ახალგაზრდა ყლორტი ლია მწვანეა.

შემოსული რქა საშუალო სიმსხლისა და ყავისფერი, ფოთოლი სამნაკვთიანია.

ყვავილი ორსქესიანია. მტვრიანები და ბუტკო ნორმალურადაა განვითარებული, მტევანი ცილინდრულ-კონუსისებრია. გვხვდება ცილინდრული მოყვანილობის მტევანიც, იგი საშუალო სიმკვრივისაა ან უფრო მკვრივი; მარცვალი თითქმის შავია, საშუალო სიდიდის ან საშუალოზე მსხვილი.

ხულოს რაიონის სოფ. ჩაო მდებარეობს ცივ ზონაში, რის გამც ვაზის ადგილობრივი ჯიშები, მათ შორის ცხენისძუძუც, ვეგეტაციას შედარებით გვიან იწყებს, მისი სავეგეტაციო პერიოდის საქართო ხანგრძლივობა 235-240 დღეა. მიუხედავად ამისა, ყველაზე შეტი ადგილობრივი ვაზის ჯიშები ამ სოფელშია თავმოყრილი. ცხე-

ნისძუძუც დაინტერესებულმა პირშა აღვილობრივმა მცხოვრებას  
შედ ცეცხლაძემ გააშენა.

ყლორტების გაფურჩქვნა მიმღინარეობს 10 აპრილიდან, ყვავი-  
ლობის პირველი ნიშნები ემჩნევა 8-10 ივნისიდან და ამინდის ხელ-  
საყრელ პირობებში 20 ივნისამდე მთავრდება.



ცხენისძუძუ

ყურძენი სიმწიფეს იწყებს აგვისტოს ბოლოდან ან სექტემბრის  
დასაწყისიდან და ტექნიკურ სიმწიფეში შედის 20-25 ოქტომბრიდან.

ცხენისძუძუს ძლიერი ზრდა ახასიათებს, მიუხედავად მოუვლე-  
ლობისა მაღლარ ვაზზე ზოგიერთი რქის განვითარება 3 მეტრა-

მდე აღწევს. უდაოა, რომ კულტურულ პირობებში ჩაყენების უფრო გაძლიერდება უფრო მოსავლის ხარისხიც გაუმჯობესდება. მოსავლიანობის გასადიდებლად საჭირო იქნება მისი ფორმირება ეგრეთ წოდებულ ოლიხნარული წესით.

რები სრულ მომწიფებას აღწევს ყურძნის მასობრივი სიმწიფის პერიოდში და ამ დროისათვის ჯიშის დამახასიათებელ ელფერს ღებულობს.

მაღლარად აღზრდილი ცხენისძუძუს მოსავლიანობა ამჟამად ცვალებადია, ვინაიდან ის არ სარგებლობს სათანადო მოვლით და ძმასთან სოკოვან ავადმყოფობათა მოქმედების შედევად ყურძენი მასობრივად ავადდება. იგი უხვ მოსავალს იძლევა (40-50 კგ-მდე ძირი) მხოლოდ ზოგიერთ წელს, ხელსაყრელ ამინდის პირობებში, რჩება ხშირად ორი მტევანია. სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ ცხენისძუძუ სუსტ გამძლეობას იჩენს, განსაკუთრებით ძლიერ ავადდება ჭრაქით.

ცხენისძუძუ სუფრის ყურძნის ჯიშია და აჭარის წითელყურძნიან ჯიშებს შორის გარჩვეული ადგილი უკავია. ახასიათებს ლამაზი მტევნები და მარცვლები და საკმაოდ მაღალი გემოვნებითი თვისებები. ვაზზე დატოვებული ყურძენი იანვრის ბოლომდე არ ფულდება, ხოლო დაკრეფილი გაზაფხულამდე ინახება.

მტევნის საშუალო წონა 123,5 გრამია. წვენის გამოსავლიანობა 70 პროცენტამდე აღწევს. ყურძნის სრული სიმწიფის პერიოდში შექრიანობა 18-19,5 პროცენტამდე აღწევს, საერთო მუავიანობა 9,7 %.

ადგილობრივი მოსახლეობისა და აგრეთვე აჭარის კურორტების სუფრის ყურძნის უზრუნველსაყოფად ცხენისძუძუ ფართოდ უნდა იქნას გავრცელებული მთიან რაიონებში დაბლარად, ნამყენის სახით სათანადოდ შერჩეულ საძირებელი.

შავი ლივანურა. შავი ლივანურა წითელყურძნიანი სუფრის და საღვინე ჯიშია. გადმოცემით ლივანურა არ არის ადგილობრივი, იგი შემოტნილი უნდა იყოს ლივანიდან. ამ მხარეში მან თავისი განვითარებისათვის ხელშემწყობი ეკოლოგიური პირობები გამონახა. ვაზის ნორმალური განვითარება და მოსავლიანობა სავსებით დამაკმაყოფილებელია.

როგორც ადგილზე გამოიჩვა ლივანურა წარსულში მასობრივად ყოფილა გავრცელებული მაღლარის სახით აჭარაში. მის პროდუქციას მოსახლეობა ძირითადად ყურძნად ხმარობდა. ამზადებლენენ აგრეთვე ყურძნის წვენსა და ბადაგს ზამთრისათვის.

მოუვლელობის შედევად როგორც საერთოდ მაღლარები, სოვეტუმიძე



კოვან ავადმყოფობათა ზეგავლენით მასობრივად დაიღუპის მიზანს ერთეული ძირების სახით შევხვდებით ქედის რაიონში, სხვა ჭიტების მსგავსად ხელსაყრელ კლიმატურ პირობებში იძლევა მეტად უხვ მოსავალს.

ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი ზედამხრიდან მომწვანო-მოწითალოა, სიჭითლე უფრო მეტად ახასიათებს კბილების არეში.

შემოსული რქა მოწაბლისფეროა, მუხლები შედარებით უფრო მუქად არის შეფერილი, ყვავილი ორსქესიანია.

ვაზის გაღვიძება იწყება აპრილის დასაწყისიდან, ყვავილობი პირველი ნიშნები ემჩნევა 10 ივნისიდან, ყურძენი შეთვალვას იწყებს აგვისტოს ბოლო რიცხვებიდან და მასობრივ სიმწიფეში 20-25 ოქტომბრიდან შედის. ღონიერ ზრდასთან ერთად ლივანურას ახასიათებს უხვი მოსავლიანობა.

რქაზე ხშირად ორი მტევანია განვითარებული, ზოგიერთ შემთხვევაში გვხვდება სამიც. ამინდის ხელსაყრელ პირობებში ერთ ძირი მაღლარი ვაზის მოსავალი აღწევს 50-60 კგ-მდე. კულტურულ პირობებში ჩაყენებით მოგვცემს რაოდენობრივად და ხარისხობროვად უკეთესს პროდუქციას.

როგორც ძლიერი ზრდის მქონე, ლივანურა ფორმირებულ უნდა იქნეს ამაღლებული შტამპით ე. წ. ოლიხნარის წესით დაგნოსტიკურ საყრდენზე რამოდენიმე სანაყოფის მიცემით. დაბლარე გაშენების ღროს საჭიროა დიდი კვების არე 2×2,5 კვ. მეტრი.

მტევნის საშუალო წონა 200 გრამს აღწევს. წვენის გამოსავლა-ანობა 76 პროცენტს უდრის, ვაზზე დატოვებული ყურძენი დეკმბრის ბოლომდე ძლებს დაუჭირობლად. დაკრეფილი ყურძენი მთელ ზამთრის განმავლობაში ინახება.

სრული სიმწიფის პერიოდში ყურძენის შაქრიანობა 19-20 პროცენტამდეა. საერთო მუავიანობა — 9,8 %. ცხადია, რომ კულტურულ პირობებში ჩაყენებით გაიზრდება ტკბილში შაქრიანობა და შესაბამისად შემცირდება მუავიანობაც.

ლივანურა ხარისხოვანი პროდუქციის მომცემი სუფრის უქნინის და საღვინე ჯიშია. მისი გაშენება დაბლარად ნამუენის სახით შერჩეულ საძირეზე კარგ შედეგს მოგვცემს მოიან რაიონებში.

**ბუტკო.** ბუტკო აჭარის უძველესი წითელყურძნიანი აბორივ-ნული ჯიშია. აჭარის რაიონებში და აგრეთვე შავშეთ-ჯლარჯეთში შავმარცვლიანი ბუტკოს არსებობა შორეული წარსულიდან არის ცნობილი. აკად. ივ. ჯავახიშვილის (1) და აკად. ს. ჩოლოყაშვილის (2) მიხედვით, აღნიშნული ჯიში ფართოდ ყოფილა გავრცელებულ ამ მხარეში შოთა რუსთაველის ეპოქაში (XII საუკუნეში). ჯიში ქართული სახელწოდება და აგრეთვე მისი მთელი რიგი სპეციფიუ-



121.

ბუტკო

რი თავისებურებანი საშუალებას გვაძლევს მივაკუთვნოთ პონტი მხარის ვაზის ჭიშთა ჯგუფს.

ადგილობრივ მოხუც პირთა გაღმოცემით ბუტკოს პროდუქტის აწარის მოსახლეობა ღვინის სმის აკრძალვასთან დაკავშირება იყენებდა ყურძნად ან ყურძნის წვენისა და ბადაგის დასამზადელად.

სოკოვან ავაღმყოფობათა და ფილოქსერის მოქმედების შედეგი ბუტკოს გავრცელების არეალი ამჟამად მეტად შეზღუდულ ერთეული ძირი მაღლარების სახით გავრცელებულია მხოლოდ ჭიშის რაიონის სოფელ ვაიოს მიღამოებში და მოსავლიანობა უწევის დოდე დამოკიდებულია ამინდის პირობებზე.

ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი ზემოდან მომწვანო-მოწოდელობა და სქლადა შებუსვილი.

ახალგაზრდა ყლორტი ღია მწვანეა, შემოსული რქა საშუალების სიმსხოს და ღია ყავისფერი.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიღიდის ან საშუალო შემცირებული მცირეა და საერთო მოყვანილობით მომრგვალო ან ორი რივალურია, ფოთოლი სამნაკუთიანია.

ყვავილი ორსქესიანია, ნორმალურად განვითარებული მტვრი ნებით და ბუტკოთი.

მტევანი ცილინდრულ-კონუსისებრია. მარცვალი თითქმის უვია, საშუალო სიღიდისაა.

ქედის რაიონის სოფელ ვაიოს ზონაში ბუტკოს სავეგეტაციურ პერიოდის საერთო ხანგრძლიობა 235-240 დღემდე აღწევს, ვაზი გაღვიძება იწყება მარტის დასასრულს, კვირტების გამოფურჩის მიმღინარეობს 5-6 აპრილიდან, ყვავილობა იწყება 7-8 ივნისიდან და 20 ივნისამდე მთავრდება. შეთვალვის პირველი ნიშნები ემჩნევ სექტემბრის პირველ რიცხვებში და მასობრივ სიმწიფეში ოქტომბრის რის დასასრულს შედის. ფოთოლცვენა იწყება ნოემბრის პირველ ნახევარში და ამავე თვის ბოლო რიცხვებში მთავრდება.

ბუტკო ხასიათდება საშუალო ზრდა-განვითარებით. ეჭვს გარე შეა, რომ ამ ჭიშის კულტურულ პირობებში ჩაყენებით ვაზის ზრდა მნიშვნელოვნად გაძლიერდება და მოსავალიც გაიზრდება. ერთი ჭიში რი მაღლარი ვაზის მოსავალი 50-60 კილოგრამამდე აღწევს.

სოკოვან ავაღმყოფობათა მიმართ სუსტ გამდლეობას იჩენს, განსაკუთრებით ძლიერ ავადდება ნაცრით.

ბუტკო საღვინე ჭიშია, როგორც უხვმოსავლიანი, მისი პროდუქცია წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადგილობრივ მოხმარების საქმაოდ ხალისიანი ღვინოების დასამზადებლად.

**პოვნილი.** პოვნილი წითელყურძნიანი საღვინე ჭიშია, გაფრი-



ლებულია მაღლარის სახით ქედის რაიონში, გადმოცემით აღნიშვნის უნიკალურობის გადასაცემად. რადგან ჯიშის სახელშორება ვერ აღუდგენიათ, დაურქმევიათ „პოვნილი“-ნაპოვნიდან. ადგოლობრივი მოსახლეობა მის პროდუქციას წარსულში დასაწურად ყევნებდა, ამზადებდა საოჯახო მოხმარების ღვინოებს, ხოლო შემდგომ პერიოდში — ყურძნის წვენს ან ბაღას საზამთროდ. ყურძნად არ ინახავდნენ ცუდი გამძლეობის გამო.

ამჟამად მცირეოდენი ნარგავების სახით იგი შემორჩენილია სოფელ სიხალიძეებისა და მეძიბნის მიღამოებში.

კარგი ამინდის პირობებში ვეგეტაციური ნაწილები ღონივრად იზრდება და მეტად უხვ მოსავალს იძლევა, შემოსული რქა საშუალო სიმსხოსია და მუქი მოწითალო.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიღიდის ან საშუალოზე მცირეა და საერთო მოყვანილობით მომრგვალო ან ოდნავ განივ-ოვალურია. ფოთოლი სამკუთხოვანია; ფოთლის ქვედა მხარე ქერისებრია, ზედა მხარე გლუვი, ყვავილი ორსქესიანია ნორმალური განვითარებული ბუტკოთი და მტერიანებით. მტევანი ცილინდრულ-კონუსისებრია და ნაკვთიანი. მარცვალი მუქი წითელია (თითქმის შავი), საშუალო სიღიდისა.

ქედის რაიონის სოფელ სიხალიძეების ზონაში პოვნილის სავე-ვეტაციო პერიოდის საერთო ხანგრძლიობა 240 დღეს აღწევს, ვაზზე კარტების გაღვიძება იწყება 4-5 აპრილიდან, ყვავილობის პირველი ნიშნები ემჩნევა 7-8 ივნისიდან და მთავრდება 20 ივნისისათვის. ყურძნია შეთვალვას იწყებს აგვისტოს ბოლოდან ან 1 სექტემბრიდან და მასიურ სიმწიფეში ოქტომბრის ბოლო რიცხვებში შედის. ახასიათებს უხვი მოსავლიანობა. რქაზე მასობრივად ორი მტევანი ვითარდება, ეჭვს გარეშეა, რომ კულტურულ პირობებში ჩაყენებით ვაჭის ზრდა კიდევ უფრო მეტად გაძლიერდება, გაიზრდება მოსავალი და გაუმჯობესდება პროდუქციის ღირსებაც. მაღალმოსავალთან ერთად ახასიათებს წვენის უხვი გამოსავლიანობა.

## ადგილობრივი და შემოტანილი ვაჟის

პერსავალი ჯიშების განლაგება პერიპალური  
ზონების მიხედვით

ღიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ პირობებთან აშა თუ იმ ფაქტების შეგუების საკითხს;

მევენახეობა-მეღვინეობის აღდგენა-განვითარებასთან დაკავ-

შირებით, ქედის საცდელ-საჩვენებელ ნაკვეთში გაშემუალული ადგილობრივი, ასევე შემოტანილი ვაზის 29 ჯიში. ჭრილობის რჩებდა დაკვირვება მოსახლეობის საკარმილამო ნაკვეთებში ზღლარ ვაზზე. შესწავლილი და აღშერილი იქნა 40-მდე სხვადას ჯიშის ვაზი.

ჩვენი ვალია მევენახეობას თავიდანვე მივცეთ სწორი მს. თულება, გავაშენოთ და ზონების მიხედვით დავნერგოთ მაღალა სხვანი სუფრის და შამპანური ვაზის ჯიშები. ამით აღვეჭო უხარისხო ვაზის ჯიშების გავრცელებას.

აჭარაში ვენახების შემგომ გაშენებას საფუძვლად უნდა დავას პროფ. მ. რამიშვილის მიერ ნაკარნახევი ადგილობრივი ჩვენს მიერ შემოტანილი პერსპექტიული ვაზის ჯიშები ვერტყორ რი ზონების მიხედვით.


### შემოტანილი ჩაზის პრიცეპტიული კიბების გილოოების ფაზების და ზონების უნარის აცელისას უნარები

საქართველოს სსრ სოფლის შეურნეობის სამინისტროს შესრულების, შევენახეობისა და მეღვინეობის სანეცნიერო კვლევით მტრიტუტის „სტაროსელსკის“ სახელობის საქარის საცდელი სალრის ტექნოლოგიის განვითარების გამევე სეცნ. კანდიდატი ვ. ა. წურამვილის, მეღვინე დ. კვიფაშვილის და ჩვენი დახმარებით 1954 წლებში მსწავლებოდა აჭარის სხვადასხვა ეკოლოგიურ პლანებში გავრცელებული სასრეზელო და პერსპექტიული ვაზის უნარი შები, რომელთა შორის პროდუქციის ხარისხის მიხედვით საუკეთენო სონი აღმოჩნდნენ:

ჩხავერი — ამ ჯიშს ფილოქსერის გაჩენამდე საქმაო ფართო ეჭირა აჭარაში მაღლარის სახით. ძვირფასი პროდუქციის მომციქული, ზაგრამ ძველი ჩხავერს ასზადებდნენ ძირითადად სუსტ მშრალი ღვინოებისათვის და ის ძვირფასი თავსებურებინი, ჩამახასიათებელია ჩხავერისათვის გამოუყენებელი იყო.

ჩხავერის ყურძნის მექანიკური შედგენილობა წლებისა და ოლოგიური პირობების მიხედვით აჭარაში საკმაოდ დიდ მეტყველება განიცდის. ჩატარებული გამოკვლევების შედეგები იძლევა სერ ნაცემებს: მტევნის წონა მერყეობს 53-172 გრამს შორის; მარცვ ბის პროცენტი მტევნებში 95-960 შორის; კლერტი 2,5-3,5 მტევნტი, კანი 5-8 პროცენტი, წიგნა 3,5-5 პროცენტი. რბილობის ნით 77-86 პროცენტი, 100 მარცვლის წონა 3,2-4,9 გრამი.

ამრიგად ჩხვერის ყურძენი, როგორც მასალებიდან ჩანს, საღ-  
ვინე ჯიშია და ამ მიმართულებით უნდა იქნეს გამოყენებული. ამ ჯიშის ყურძნის სიმწიფის შესწავლით გამოირკვა, რომ ის ზო-



ჩხვერი

გიერთ წლებში და სამხრეთ ფერდობზე გაშენებული შაქარს აგრო-  
ებს 24 პროცენტამდე, ტკბილის ქიმიური შემადგენლობა ეკოლო-

გრული პირობების მიხედვით იცვლება. სოფელ ქედაში კურორტი პიროცენტ შაქრიანობის დროს შეიცავს 9 % მეავიანობას, სოფ. წონიაში 23 პიროცენტ შაქრიანობის დროს 11 % მეავიანობას და სოფ. კვაშტაში 20 პიროცენტ შაქრიანობის დროს 9 % მეავიანობას, რაც იძლევა შესაძლებლობას ჩხავერის ჯიშის ყურძნიდან დავაყენოთ სხვადასხვა ტიპის ღვინო, სუფრის მშრალი და ცქრიალა ღვინოები.

ჩხავერის ყურძნის დამწიფებაზე დიდ გავლენას ახდენს ჯროკლიმატური და ნიადაგური პირობები. მეტ შაქარს აგროვებს იქ, საღაც აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ვაზის პროცენტის პერიოდში მეტია და ასევე ვერტიკალური ზონის მიხედვით შაქრიანობასა და მეავიანობის შეფასების მხრივ დიდ მერყეობას აქვს აღვილი. ჩხავერიდან მიღებული ტკბილი და ღვინის ორგანოლეპტიკური თვისებებიდან როგორც ეს 1-ლ ცხრილშია მოცემული, აღსანიშნავია შემდეგი: ტკბილის უჭიაჭოდ დადუღების შემთხვევაში ჰლებულობა ღვინოს ღია ჩალისფერს, ხოლო ჭაჭაზე დადუღებით კი მიიღება ღვინო ღია წითელი ფერის, რადგან ჩხავერის ყურძნენი ღარიბია საღებავი ნივთიერებით.

აჭარის პირობებში შესწავლილი საცდელი ღვინოების ქიმიური შემადგენლობა და ორგანოლეპტიკური თვისებები მოცემულია № 1 ცხრილში.


ამ ჯიშის დიდ ღირსებას შეაღვენს ის, რომ ღვინო დაყენებული მაღალშაქრიან ყურძნიდან ინარჩუნებს სინაზეს და სასიამოვნო სიხალისეს. საინტერესოა იმ მხრივ, რომ სრულ სიმწიფეში იძლევა ჯიშისათვის დამახასიათებელ მდიდარ სურნელობასა და გემოს, რაც მას აძლევს უპირატესობას აჭარაში გავრცელებულ სხვა ჯიშებთან შედარებით.

ჩხავერის ყურძნენი მეღვინეობისათვის მრავალმხრივ არის გამოსაყენებული, მისგან სიმწიფის სხვადასხვა სტადიაში მიიღება მაღალხარისხოვანი შამპანური, ბუნებრივი ტკბილი, ბუნებრივი ცქრიალი და მშრალი სუფრის ღვინოები, ეს ჯიში განსაკუთრებით კარგ თვისებებს ამჟღავნებს შამპანურსა და ბუნებრივ ცქრიალა ღვინუჟბისათვის, ღვინოს მასალებს აქვს  $\text{CO}_2$ -ის შთანთქვის დიდი უნახა, რის გამო შამპანური და ბუნებრივი ცქრიალა ღვინოები ჭიქაში მოთავსების დროს იძლევა ხარისხოვან ქაფს და ხანგრძლივ ცქრიალს.

ღვინო ნაზია, ხალისიანი, ნაყოფის სურნელებითა და რბილ მწყობრი გემოთი.

ორიგინალურია ჩხავერის ყურძნიდან მიღებული საღესერტო ღვინოები: ქარვისფერი, მდიდარი სპეციფიკური სურნელებით და რბილი ხავერდოვანი გემოთი. ამ კუთხისათვის პერსპექტიულ ჯიშად

წლა ჩიოთვალოს და მისი ფართობის ზრდა ხელს შეუწყობს ქარ-  
ული ღვინოების ასორტიმენტისა და ხარისხის გაუმჯობესებას.



ცოლიკაური

ცოლიკაური. ცოლიკაური დასავლეთ საქართველოს მევენახე-  
ობის რაიონებში ცნობილია ობჩური ცოლიკაურისა და მელქოს ცო-  
ლიკაურის სახელწოდებით, ხოლო ბაზალეთური ცოლიკაური, რო-

შელიც ზემო იმერეთშია გავრცელებული, საგრძნობლად გამოიყენება ერთიმეორისაგან. ფილოქსერისა და სოკოვან მიერ ვენახების განადგურებამ საფუტვლიანად შეცვალა ვანის თა შეძაღვენლობა საჭართველოში, უაგრამ ამ ჯიშამ შაიხც დაუკ საპატიო ადგილი დასავლეთ საჭართველოს ყველა რაიონებში.

ვენახების აღდგენა აჭარაში პირველად აյ ჯიშიდან დაიწყო ცოლიყაური იმერული ვაზის ჯიშია, რომელმაც პპოვა სწრაფი ფართო განვითარება არა მარტო იმერეთის, გუაია-საქევრელის ვენახების რაიონებში, არამედ აჭარის რესპუბლიკაშიაც უნივერსალური ჯიში გახდა.


დასავლეთ საჭართველოს მშრალ და ტენიან რაიონებში თაქმის ყველა ადგილებში პერსპექტიულ ჯიშადაა აღიარებული.

ჩატარებული გამოკვლევები მტევნის მექანიკური შეღვენილების შესწავლის შედევ ასეთ სურათს იძლევა: მტევნის წონა ტე ყეობს 65-359 გრამს შორის; მარცვლების რაოდენობა მტევნის 28-190, კლერტი 1,5-4,5 გრ.; კანი 4,5-9,7 პროცენტი, 100 ბარულის წონა გრაძებში 104-245 უდრის. როგორც მიღებული შეღვენილებისან ჩანს, ცოლიყაური ტიპიურ საღვინე ჯიშს წარმოადგენს.

აჭარის სხვადასხვა ეკოლოგიურ პირობებში შესწავლილია ცლიყაურის ჯიში, რომელიც შაქარს აგროვებს 24 პროცენტამდე, რაც იგი გამოვნებულია სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდის ბუნებაში. 7-8 % მუავიანობის შენარჩუნებით, რაც საუკეთესო სალას წარმოადგენს როგორც სუფრის ევროპიული, ისე იმერულ და ნახევრად ტკბილი სუფრის ღვინოებისათვის. საცდელი ღვინოების ქიმიური და ორგანოლეპტიკური თვისებების შეღეგბი მოცუმულია № 2 ცხრილში, როგორც მეორე ცხრილიდან ჩანს, ამ კუთხით მათ ცოლიყაური იძლევა ხარისხოვან ევროპიული ტიპის და შარლ ხარისხოვან იმერულ და ნახევრად ტკბილ სუფრის ღვინოებს. ღამზაღებული ნახევრად ტკბილი სუფრის ღვინო თავისი სინაშით ცასიამოვნო სიხალისითა და სიტკბოთი დიდ ყურადღებას ისახარებს და თავისი თრიგინალობით გამოიჩინევა საჭართველოს სსრაიონებში ღამზაღებულ ბუნებრივ ტკბილი ღვინოებიდან, ამრენაც კუთხე საინტერესოა მეღვინეობის წარმოებისათვის, სადაც შესძლებელია ცოლიყაურის ყურანიდან მივიღოთ ძვირფასი სურნლებისა და გემოვნების სუფრის მშრალი და ნახევრად ტკბილ ღვინოები, ამით გავაუმჯობესოთ, გავადიდოთ ქართული ღვინოები ასორტიმენტი.

ალიგონთ აჭარის მაღლობი ზონის რაიონებში საკმაოდ ხარისხვან და შამპანურ და სუფრის ევროპული ტიპის ღვინოებს იძლევა. ალიგონთ პროდუქცია შესწავლილი იქნა ქედის, შუახევის,

ხულის რაიონებში. ეს ჯიში როგორც მოსავლიანობით, ისე პროდუქტების წარმოებით სავსებით აკმაყოფილებს წარმოების მოთხოვნილება და მომზადება.



ალიგორტე

ბას. შედარებით კარგად უძლებს ჭრაქსა და ნაცარს, რაც მთავარია მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ ადრე მწიფდება და ნააღრევ ზამთრის მოსვლამდე მოსავალი აღებულია.

საქართველოს  
მთავრობის  
მინისტრის  
მინისტრი

ალიგოტე ამ მაღალმთიანი ზონებისათვის უდაოდ პერსონალის უფრო ეტანება.

აჭარის პირობებში ალიგოტეს შესწავლის პროცესში გარკვეულია ყურძნის მექანიკური შედეგებისა და მიღებული შედეგებით მტევნის წონა ეკოლოგიური პირობების მიხედვით მერყეობს 40-203 გრამს შორის: მარცვლების რაოდენობა მტევანში 32-130, მარცვლების პროცენტი 95-98, კლერტი 2-2,9 გრ., კანი 3,6-7,8 პროცენტი, წიგნი — 2,2-3,9 პროცენტი, რბილობი წვენით 83-91 პროცენტი, 100 მარცვლის წონა გრამებში 115-201.

ყურძნის სრულ სიმრიცეს ეკოლოგიური პირობების მიხედვით ალიგოტე 22 სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე ასწრებს. შაქრიანობას აგროვებს 20-21 პროცენტს, შედარებით მაღალი მუავიანობის შენარჩუნებით.

ჩატარებული გამორკვევები — ალიგოტესთან დაკავშირებული ღვინო მასალების შესასწავლად შემდეგ მაჩვენებლებს იძლევა. იხ. ცხრილი № 3. როგორც ცხრილიდან ჩანს, ალიგოტე ტექნიკურ სიზიუმში დაკრეფილი იძლევა ღვინოს, რომელიც ორგანოლეპტიკურ მაჩვენებლების მიხედვით აჭარის პირობებში საუკეთესო პროდუქციის წარმოადგენს და სხვა აქ არსებულ ჯიშებს შორის ერთ-ერთ პერსპექტიული ჯიშია, მისი ნარგავების გადიდებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

## მეცნახობის აზრობების ზოგიერთი

### საპითე აჭარაში

#### სავენახე ნაკვეთის შერჩევა

აჭარის მთიანი რაიონები რელიეფის, ნიადაგური პირობებისა და ჯიშების შერჩევის მიხედვით მეტად სერიოზულ მუშაობას მოითხოვს, რადგან ერთი და იგივე ჯიში მოცემული რაიონის სხვადასხვა პირობებში გაშენებისას იძლევა განსხვავებულ ნაყოფსა და პროდუქციას.

სავენახე ნაკვეთების შერჩევისას უნდა გავითვალისწინოთ ნაკვეთის რელიეფის თავისებურება (ექსპოზიცია), ნიადაგური და კლიმატური პირობები, გრუნტის წყლის სიახლოებები ნიადაგის ზედაპირიდან.

აჭარის მთიან ზონაში უპირატესობა ეძლევა სამხრეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ექსპოზიციის ფერ-

დობებს. განსაკუთრებით კი ამ ზონებისათვის უნდა შეიტანოს სამხატვრო მუზეუმის არქეოლოგიური მუზეუმი, რადგან ასეთ დაქანებაზე მხედვებით მეტია და შაქრიანობაც მაღალია; იმ ფერდობებზე კი, სადაც მზის მცხვნვარება შედარებით ნაკლებია, ყურძნის შაქრიანობა და მოსავალიც მცირეა. ასეთ ადგილებში ყურძნის 15-20 დღით უფრო გვიან მწიფდება და მოსავლის აღებასაც ნააღრევი ზამთარი ემუქრება.

ნიადაგი უნდა იყოს სტრუქტურული, საკმაოდ ფხვიერი, წყლის კარგად გამტარი.

აჭარის პირობებში ვაზის ზრდა-განვითარებისა და მაღალი მოსავლის კარგ პირობებს ქმნის ტყის ყავისფერი, ეწერი და ხირხატი-ანი ნიადაგები.

აღსანიშნავია, რომ მთიან რაიონებში არ არის გაბატონებული ძლიერი ქარები, ვენახის გაშენებისას არ არის საჭირო ხელოვნური ქარსაცვი ზოლები. აქ ზვრები ბუნებრივად დაცულია შემთხვევითი ცივი ქარებისაგან ზამთარში და, რაც მთავარია, ახალი გაზაფხულის ყინვებიც ვერ აჩიანებს ვენახს.

#### ფერდობების გამოყენება ვენახების გასაშენებლად

აჭარის მთიანი რაიონების პირობებში ახალი ფართობების ათვისება მევენახეობის შემდგომი განვითარების დიდი ღონისძიებაა. ამჟამად სავენახედ ვარგისი ფართობები თითქმის ამოწურულია, ბევრი სავენახე ნაკვეთი დაკავებულია თამბაქოს კულტურით. ამიტომ ახალი ზვრების გასაშენებლად აჭარის მთიანი ზონის კოლმეურნეობებში უნდა მივმართოთ ფერდობების დატერასებას ძირითადი სამუშაოების მექანიზაციის გზით.

ამ საკითხზე მუშაობს ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქედის საყრდენი პუნქტი.

აჭარის მთიანი ზონა ხასიათდება უხვი ნალექებით, განსაკუთრებით გაზაფხულსა და შემოდგომაზე. აქ ნაკვეთების დიდი დაქანების გამო მკვეთრადაა გამოხატული ზედაპირული წყლისმიეროერობისა. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დიდი ნაწილი ირეცხება და წლების მანძილზე კარგავს ნაყოფიერებას. 1970 წელს 1960 წელთან შედარებით აჭარის მთიან ზონაში სახნავი ფართობი შემცირდა 741 ჰექტარით, სათიბები — 2.134 ჰექტარით.

საქართველოს მიწათმოქმედების სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის მონაცემებით, აჭარის მთიან ზონაში ეროზირებულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 99,6 პროცენტი, აქედან ძლიერ ეროზირებულია 63,2 პროცენტი. ეს მაშინ, როდესაც ერთ სულ მოსახლეზე აქ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები თითქმის ერთი-



ორად ნაკლებია, ვიდრე სსრ კავშირში მთლიანად, სახნაგენერაციული ჯერ ნაკლები საქართველოს რესპუბლიკის შესაბამის მაჩვენებლებითან შედარებით.

კულტურულნობებში უკანასკნელი წლების მანძილზე აღინიშნება ზევრების მკეთრად შემცირება, ადგილი აქვს პრეტენზიებს იმ მოტივით, რომ თითქოს აჭარის მთიან ზონაში ფართობების უქნლობის გამო ამოწურულია ვენახების შემდგომი გაფართოების შესაძლებლობანი.

საყრდენი პუნქტი ახორციელებს მნიშვნელოვან ღონისძიებებს შევენახების შემდგომი განვითარებისათვის, ეროზირებული ნიადაგების გამოყენების, ხმარებიდან გამოსული ნიადაგების ავასებისა და ტექნიკის სრულყოფისათვის იმ ანგარიშით, რომ მექანიზირებულ იქნეს ძირითადი საწარმოო პროცესები მევენახეობაში.

საცდელ ნაკვეთებში მოწეული ყურძნის ორი წლის მონაცემები დამაკმაყოფილებელია. ხუთი წლის დადებითი შედეგების შემთხვევაში, საჭირო იქნება გამოიყოს დარგების მიხედვით სპეციალური კომისია და ადგილებზე შემოწმების შედეგების მასალებით საბოლოოდ დადგინდება ფერდობებზე ვენახების გაშენების შესაძლებლობა.

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ეროზის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა სისტემაში და ნიადაგის განვითარების აღდგენის საქმეში ვენახის გაშენების ჩართვა აუცილებელ ღონისძიებად უნდა მივიჩნიოთ, რადგან იგი საშუალებას იძლევა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მოვაჭციოთ ხმარებიდან გამოსული მიწების საკმაოდ დიდი ფართობები.

ქედის საყრდენი პუნქტი სწავლობს ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის ზონის კოლმეურნეობათა ფერდობი მიწების აოვისებას ზვრებისათვის დატერასებით, ძირითადი სამუშაოების მექანიზაციის გზით.

საყრდენი პუნქტის სამუშაო პროგრამით გათვალისწინებული რღვევისა და ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების ცვალებადობათა შესწავლა ტერასების სხვადასხვა დახრილობის პირობებში და მხრივ ოპტიმალური ვარიანტის შემუშავება.

ცდები დაყენებულია ისეთ ნიადაგებზე, რომლებიც სიმწირის გამო აღრე გამოვიდა ხმარებიდან. საცდელი ნაკვეთი გამოყოფილია ქედის რაიონის სოფელ ზენდილში ზღვის ღონიდან 450-500 მეტრ სიმაღლეზე, სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ექსთზიციის ნაკვეთებზე.

8-15 გრადუსამდე დაჭანების ნაკვეთების დატერასება უნდა მოხდეს ხნულიანი ტერასების მოწყობით, რაც სრულიად აღვილად

ეთდება საკიდი სატრაქტორე სახნავი გუთნით ერთი მიმართულებული შით ხენით. 15-25 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე ტერასები შორწყობა ვაზის ორ რიგად გაშენებისათვის. 25 გრადუსზე მეტი დაქანების ფერდობზე გაშენებით.

ტერასები ისე უნდა მოეწყოს, რომ გათვალისწინებული იქნეს საწარმოო პროცესების მექანიზაცია.

ახალი სავენახე ფართობების ათვისებას დიდი წვლილის შეტანა შეუძლია სახელმწიფო გეგმის შესრულებაში. ამასთანავე გაიზღდება კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი.

### სავენახე ნაკვეთის მომზადება

სანმ სავენახე ნაკვეთს დავამუშავებდეთ, აუცილებელია ნიადაგის ზედაპირის მოსწორება, რათა თანაბარ პირობებში ჩავასუნოთ თოთოეული გასაშენებელი ვაზი.

ხანგრძლივმა დაკვირვებამ და პრაქტიკულმა გამოცდილებამ ცხადყო სავენახე ნაკვეთის ღრმად დამუშავების უპირატესობა.

ნიადაგის ორპირად გადაბარვის (პლანტაჟის) დროს მარტო ღრმად დამუშავება არ კმარა, საჭიროა აგრეთვე მისი სათანადოდ გაფხვირება და ფენების გადანაცვლება, ერთმანეთში შერევა, რათა ფესვთა სისტემის ზონაში შეიქმნას გარემო პირობათა კარგად შეხამებული კომპლექსი. ბეჭითად და საფუძვლიანად უნდა შევისწავლოთ მოცემული ნიადაგის დადებითი და უარყოფითი თვისებები, მისი ფიზიური აგებულება, წყლის რეჟიმი და სხვა.

პლანტაჟისათვის საუკეთესო დროდ ითვლება შემოღობა, როდესაც ნიადაგური და ატმოსფერული ნალექები ხელს უწყობენ ზორის უკეთ გაფხვირებას და ვენახის საგაზაფხულო დარგვისათვის მომზადებას.

აჭარის მთიან რაიონებში ნაადრევი ზამთარი იცის, გაზაფხული კი გვიან იწყება, ამისათვის ვენახის გასაშენებლად ნიადაგი აუცილებლად შემოღომაზე უნდა მომზადდეს (50-60 სმ სილრმეზე), რათა ვაზის რგვის დაწყებამდე მოასწროს დაჯდომა. გაზაფხულზე პლანტაჟის გაკეთების შემთხვევაში ნიადაგი დაჯდომას ვერ ასწერებს, გაუფხვირებელი რჩება და ვაზის დარგვისას კოკოლების გასაკეთებლად საჭირო ხდება მდინარის შლამის მოტანა, რაც ზედსუტ ხარჯებთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, პლანტაჟის გაკეთებისათვავე ვაზის დარგვა აბრკოლებს ფესვთა სისტემის განვითარებას და იწვევს რგვის სილრმის შეცვლას, ვინაიდან დარგვის შემდეგ ნიადაგის დაწევასთან ერთად დაბლა იწევს ვაზის ნერგიც,

ფესვები სცილდება მოტენილ მიწას, ამით გახარების უძრავი შემოვარებული ნაკვეთი მეჩხერი რჩება.

როდესაც ნაკვეთში ნარგავობის გახარება 90-95 პროცენტი შეადგენს, ყველა ვაზი ერთდროულია და მოსავალიც სტაბილურია, ხოლო იქ, სადაც ვენახის გამორგვა ხდება, ვაზი განსხვავებული მსხმოიარობისაა, მოსავალიც ნაკლები და არასტაბილურია.

### საძირე ვაზის ჭიშების შერჩევა

მევენახეობა-მეღვინეობის აღდგენა-განვითარებასთან და წარსულში ფილოქსერას მიერ ვენახების განადგურებასთან დაკავშირდით, საჭირო გახდა ვაზის დაბლარად გაშენება, მოწონებული ჯილტურული ჯიშების მყნობა ფილოქსერაგამძლე ვაზის საძირებზე. ამ მიზნით 1936 წელს აჭარაში მოეწყო ვაზის სანერგე ახლა დაარსებული ქედის მევენახეობის მეურნეობაში და იქვე მეზობელ ბორც. ცხემის კოლმეურნეობაში. საძირე მასალა შემოჰქონდათ ჯისუბნის საბჭოთა მეურნეობიდან (სამტრედიის რაიონი).

აჭარის სანერგების შემდეგ მყნობისათვის უვარებისი საძირები 11 მმ სიმსხოს ზევით ფესვიანდებოდა და შენდებოდა საძირე ვაზი სალედები.

აჭარის პირობებში ძირითად საძირედ უნდა მივიჩნიოთ რიანიაXრუპესტრის 3309 და რიპარიაXრუპესტრის 3306. აგრეთვე კოიუნება ბერლანდიერიXრიპარია ფილოქსერისაღმი გამძლებით.

### ვაზის დარგვის დრო და წესი

ვაზის დარგვა აჭარაში შეიძლება ვაზაფხულსა და შემოღვამაზე. შემოღვომაზე ვაზის დარგვა უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს 10-15 ნოემბრისა, ხოლო ვაზაფხულზე — 20 აპრილამდე. რა შეეხება ხულოსა და შუახევის რაიონების მაღალ ზონას, სადაც ნაადრევი ზამთარი ცის, ხოლო ვაზაფხული გვიან იწყება, ვაზის დარგვა უმჯობესია ვაზაფხულზე (აპრილის ბოლომდე). წინასწარ მომზადებულ ორმოებში დაირგვება დაფესვიანებული ნამყენი ვაზის ნერგი, შემოღვომაზე დარგულ ვაზს, დაბალი ტემპერატურის გამკვირტები რომ არ დაუზიანდეს, აგრეთვე წვიმებისა და თოვლის მოქმედებით არ შეთხელდეს ვაზზე მიყრილი მიწა, უკეთდება 15-20 სანტიმეტრი სიმაღლის კოკოლი, ვაზაფხულზე დარგვის შემოხვევა

ში კოკოლის სიმაღლე შეიძლება ნაკლები იყოს. ვენახის ფერდობ- უნდა დაირგა კი უკიდუროსა კარგად, ისე, რომ მწერივი მიჰყვებოდეს ფერდობს გარღივა- რდო.

კომპლექსური მექანიზაციის გამოყენებასთან დაკავშირებით შევენახების ძირითადი რაიონებისათვის კვების არედ მიღებულია 3 კვადრატული მეტრი. სხვა მდგომარეობაა აჭარაში. ზვრები პა- ტარ-პატარა ნაკვეთებზე (1,5-2 ჰექტარი) და ამიტომ კვების არე 2,25 კვადრატულ მეტრს მოიცავს. საერთოდ ვაზის კვების არე მნა- შენელოვნად არის დამოკიდებული ადგილობრივ ბუნებრივ პირო- ბებზე, რაც უფრო ნოკიერია და ტენით უზრუნველყოფილია ნია- დავი, მით უფრო შორიშორს ირგვება ვაზი. ლარიბსა და მწირ ნია- დაგში ვაზის ფესვთა სისტემა და ზრდა-განვითარებაც სუსტია და კვების არეც ნაკლებია, ამასთან დაკავშირებით საჭირო შეიქმნა შე- შუშვებულიყო ადგილობრივი პირობების შესაფერისი კვების არე. მ საკითხის შესწავლა 1958 წელს დაიწყო აჭარის საყრდენმა პუნ- ქტა.

შუახევის რაიონის სოფელ შუახევის კოლმეურნეობაში გამოი- ყო 0,5 ჰექტარი საცდელი ნაკვეთი და გაშენდა ცოლიყაური. კვე- ბის არედ აღებულია: 2X1,5, 2X1,25, 1,5X1,5 და 1,5X1,25 მეტრი. ნაკვეთს ჰქონდა 18-20° დაქანება სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე (ზღვის დონიდან 430 მეტრზე), 1958 წლიდან 1961 წლამდე საცდელ ნაკვეთში ტარდებოდა ყველა აგროტექნიკური ღონისძიება, ხოლო 1961 წლიდან (შტამბზე დაყენების შემდეგ) დაიწყო ვაზის ზრდისა და მოსავლიანობის ელემენტების აღრიცხვა.

პირველი ორი ვარიანტი (2X1,5 და 2X1,25 მეტრი) ისხვლე- ბოდა თავისუფალი ფორმით (36-40 კვირტის დატვირთვით), მეორე და მესამე ვარიანტი კი (1,5X 1,5 და 1,5X1,25 მეტრი) გაისხლა ქარ- თული ორმხრივი შპალერის წესით (20-24 კვირტის დატვირთვით).

ოთხი წლის დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ შუახევის რაიონის პი- რობებში, სადაც შეიძლება მექანიზაციის გამოყენება, ვენახის გაშე- ნება უმჯობესია 2X1,25 კვ. მეტრზე კვების არეზე, რადგან 2X1,25 კვ. მეტრზე გაშენებული ვაზი 2X1,5 კვ. მეტრზე გაშენებულთან შედარებით მეტ მოსავალს იძლევა.

ფერდობ ადგილებზე, სადაც მექანიზაცია არ გამოიყენება, ვე- ნახი უნდა გაშენდეს როგორც 1,5X1,5 კვ. მეტრზე, ასევე 1,5X1,25 კვ. მეტრის კვების არეზე, უნდა მივმართოთ სხვლის თავისუფალ ფორმას ოპტიმალური დატვირთვით, შემდეგი უპირატესობით:

- 1) ვაზი იძლევა მაღალ მოსავალს;
- 2) მწერივთა შორის სიხშირის გამ ნიადაგი ნაკლებად ირეცხება;
- 3) ადგილობრივი ნიადაგური

პირობებიდან გამომდინარე ვაზის ფესვთა სისტემა საშუალებული იყერისა და კვების არეს მთლიანად ითვისებს; 4) ღრმულობების წარისხიანად წამლობისას ვაზი არ ავადდება ჭრაქითა და ნაციონ.

### ახალშენი ვენახის მოვლა

ახლად გაშენებულ ვენახში ნიადაგი მუდამ სუფთა და გაფხვერებული უნდა იყოს. ყოველი წვიმის შემდეგ კოკოლების ქერქი ფრთხილად უნდა გაფხვიერდეს, რათა ხელი არ შეუშალოს ხორი ყლორტების ამოსვლას.

ივნისის შუა რიცხვებში ნამყენ ვაზს კოკოლები უნდა შემოეცალოს და მახვილი დანით მოეჭრას სანამყენელან გამოსული ფეხები, აგრეთვე საძირედან ამონაყარი ყლორტები. ამის შემდეგ ისე უნდა მიეყაროს ფხვიერი მიწა. ეს სამუშაო უმჯობესია ჩავატაროთ დილასა და საღამოს. ასეთივე ოპერაცია უნდა განმეორდეს ივლისის ბოლო რიცხვებიდან ან პირველ აგვისტოდან და მოკლე ღრმუში დამთავრდეს. ამ შემთხვევაში კი კოკოლების გაკეთება საჭირო არ არის.

ნაზარდი და ფესვთა სისტემა კარგად რომ განვითარდეს, საჭიროა, ნიადაგი მუდამ ფხვიერ მდგომარეობაში იყოს; ვაზის გაფურჩქვნა პირველ წელს საჭირო არ არის.

სოკოვან ავადმყოფობათა წინააღმდეგ ვენახს წამლავენ ერთ-პროცენტიანი ბორდოს სითხით 10-12-ჯერ. დარგვის მეორე წელს, ვაზაფხულზე, ვაზს სხლავენ და კარგად ნახარებ ძირებზე შტამბი გამოჰყავთ. ნიადაგს ჩვეულებრივ ამუშავებენ, რათა ნაკვეთი ფხვიერ მდგომარეობაში იყოს. ვაზაფხულზე, კვირტის გაშლამდე, ვაზს აკავებენ შპალერზე. მოვლის სხვა წესები ისეთივეა, როგორც სრულმოსავლიან ვენახში.

### ვაზის შპალერზე დაყენება

ცნობილია, რომ შპალერზე დაყენებული ვენახი სწორი აგრო-ტექნიკის პირობებში ჭიგოზე დაყენებულთან შედარებით გაცილებით მეტ მოსავალს იძლევა. აჭრაში, როგორც მევენახების ახლ ზონაში, ვაზი პირველად შპალერზე გადავიყვანეთ 1946 წელს ქედის რაიონის სოფელ ქედის კოლმეურნეობის საცდელ-საკოლექციო ნაკვეთში ერთ ჰექტარ ფართობზე.

იმის გამო, რომ 1947 წელს ხანგრძლივი და მქაცრი ზამთარი


თუ. პირველად მოწყობილი შპალერის ძირითადი ბოძები და ნაწილი გადაკეთდა შუალედი სარები მთლიანად დაწვა და დაიმტვრა. აშენებული მდგრამარეობამ შეასუსტა გლეხობის დაინტერესება შპალერების მოწყობისადმი. მაგრამ ასეთი დიდი და ხანგრძლივი ოვალი აქ იშვიათად იცის. ამიტომ საჭირო გახდა შემდგომ წლებში შპალერის სელმეორედ მოწყობა და სათანადო აგროტექნიკურ ღონისძიებათა შემუშავება.

1948 წლის გაზაფხულზე მეორედ გადავიყვანეთ ვენახები შპალერზე იმავე ქედის საცდელ-საკოლექციო ნაკვეთში, და მაღალი ზონის სოფელ ახოს კოლმეურნეობაში. აქ შპალერი მოეწყო ორ ჟეტირზე შრომის გმირის აბლულ ბერიძისა და სხვა მოწინავე მევნახე კოლმეურნეთა აქტიური მონაწილეობით.

ვაზის შპალერზე გადაყვანა ჩვენს პირობებში მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთ საშუალებად ითვლება და იგი ფართოდ გავტცელდა აჭარის მთიან რაიონებში.

დიდი ოვალის შემთხვევაში მოსალოდნელი საშიშროების თავიან აკილების მიზნით, შემოღვმაზე ყურძნის აღების შემდეგ, შპალერის ერთ-ერთი ბოლოდან ბოძზე უნდა მოეშვას მავთული, რაც სავსებით საკმარისი იქნება ზამთარში შპალერის ოვალისაგან ღასცავდ.

ვაზის შპალერზე გადაყვანა ჩვენს პირობებში საშუალებას გვა-



საშუალო სიმაღლის შპალერი

ძლევს უფრო კარგად მჟღუაროთ ვაზს და მივიღოთ მოსავალი ხოვანი და უხვი მოსავალი.

ცნობილია, რომ შპალერზე დაყენებული ვაზის ორგანობა თანაბრად სარგებლობენ მზის სხივებით და ჰაერაციით, რასაც და დი მნიშვნელობა აქვს მცენარის ზრდა-განვითარებისა და მოსავალ ანობის გადიდებისათვის; მზის სხივებით უხვად სარგებლობის შედეგად უმჯობესდება ფოტოსინეტზი, რაც ხელს უწყობს სახამებლისა და შაქრის მეტი რაოდენობით დაგროვებას.

გლეხობას ღრმად სჭრა, რომ შპალერზე გადაყვანილი ვაზი გაცილებით უკეთესი ხარისხის პროდუქციას იძლევა, ვიღრე საჩი აკრული, რადგან შპალერზე ნაკლებად ზინდება მარცვლები. გარდა ამისა, უფრო ადვილია მავნებლებისა და დაავადებების, განსაკუთრებით ჭრაქისა და ნაცრის წინააღმდეგ ბრძოლა. ბორდოს სითხი შესხურება ვაზის შპალერზე დაყენების დროს უფრო ეფექტურა და ნაკლებ ხარჯებს მოითხოვს, ამასთან ხელს უწყობს მევენახეობა. ში მექანიზაციის დანერგვას.

ვაზის შპალერზე დაყენებამ ჩვენს პირობებში მოსავლიანობა გააღიდა 15-20 პროცენტით და საგრძნობლად აამაღლა ყურძნის ხარისხი. აქ შპალერები სამმავთულიანია, მავთულის ქვედა წვერი ამშება რაიონში მიღებული სტამბის სიმაღლეზე — 60 სანტიმეტრზე, შეორე მავთული — 40-45 სანტიმეტრის დაშორებით პირველიდან, მესამე კი — 60 სანტიმეტრზე მეორე მავთულიდან, მავთულების ერთმანეთისაგან ასეთი დაშორება აქ ქარის ნაკლები მოქმედებითა გაპირობებული.

### ვაზის შტამბის სიმაღლის განსაზღვრა

ხულოს მაღალმთიან რაიონში და ნაწილობრივ შუახევისა და ქედის რაიონების მაღალ ზონებში, სადაც ცოლიკაური და სხვა ჯოშები ვერ ასწრებენ დამწიფებას, შევენახეობის განვითარებისათვის შევარჩით სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ დაქანებაზე მდგბარე ფერდობები. დაკვირვების წარმოების მიზნით 1946 წელს ხულოს რაიონის ყველაზე მაღალი ზონის სოფლებში — დიოკისსა და საციხურში გავაშენეთ 300-300 ძირი ალიგოტე.

სოფელ დიოკისის კოლმეურნეობაში ალიგოტეს ჯიშის ვაზი ჩავყარეთ 4 ჰექტარზე და გადავწყვიტეთ გამოგვეცადა მისი შტამბის სიმაღლე, ამავე დროს გავზარდეთ დატვირთვის ფორმები, რადგან ქართული ორმხრივ ფორმაზე დაყენებული ვაზი, რომელიც 20-24 კვირტით იყო დატვირთული, ძლიერ გაიზარდა.



მევენახეობის აგროტექნიკაში ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მუსიკალური საიონია ვაზის შტამბის სიმაღლის დადგენა, რაც აჭარის პირობებში მაღალმთიან ცივ ზონაში, შეუსწავლელი იყო.

ცდა ვაწარმოეთ 1962-1966 წლებში ხულოს რაიონის სოფელ დოკინის კოლმეურნეობაში შემდეგი სქემით:

შტამბის სიმაღლე 60-80-100 სანტიმეტრია, სხვლის თავისუფალი ფორმა 36-40 კვირტი; დანაყოფზე ერთი მწკრივი, განმეორება ხუთი, ჯიში ალიგოტე, კვების არე  $1,5 \times 1,5$  კვადრატული მეტრი.

ხუთი წლის დაკვირვებამ ასეთი სურათი მოგვცა.

პირველ შემთხვევაში 50 სმ შტამბის სიმაღლეზე ერთი ძირი ვაზიდან საშუალოდ მივიღეთ 1,54 კილოგრამი ყურძენი, რაც ჰექტარზე გადაანგარიშებით 68 ცენტნერს უდრის, შაქრიანობამ შეაღინა 19,3 პროცენტი. მუავიანობამ — 8,8 %.

მეორე შემთხვევაში 80 სმ შტამბის სიმაღლეზე ერთ ძირზე მივიღეთ 1,52 კილოგრამი ყურძენი, ჰექტარზე გადაანგარიშებით — 67,4 ცენტნერი, შაქრიანობა უდრიდა 19 პროცენტს, მუავიანობა 8,8 %.

მესამე შემთხვევაში 100 სმ. შტამბის სიმაღლეზე ერთმა ძირშა ვაზი საშუალოდ მოგვეცა 1,46 კილოგრამი ყურძენი, ჰექტარზე — 64,4 ცენტნერი; შაქრიანობამ შეაღინა 18,7 პროცენტი, მუავიანობამ — 9 %. საგულისხმოა, რომ ვაზის დაავადებისა და მავნებლების გავრცელების არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა.

ხუთი წლის დაკვირვებიდან გამომდინარე შეიძლება დაგასკვნათ, რომ ხულოს რაიონის პირობებში ალიგოტეს ჯიში სასურველია გარენდეს 60 სანტიმეტრი შტამბის სიმაღლეზე, ამ შემთხვევაში ალიგოტეს ჯიშს შემდეგი უპირატესობანი გააჩნია:

1. საგრძნობლად მეტია ყურძნის მოსავალი და უკეთესია მისი ხარისხი:

2. გასხვლა, მწვანე ოპერაციები და სხვა სახის სამუშაოები უფრო მოხერხებულად ტარდება, ვიდრე 100 სანტიმეტრი სიმაღლის შტამბის დროს. მცირდება ზედმეტი ხარჯები — კაცლდეები, საყრდენი მასალა და სხვა.

3. 80-100 სანტიმეტრი სიმაღლის შტამბთან შედარებით 60 სანტიმეტრი სიმაღლის შტამბის შემთხვევაში ყურძენი მეტი შაქრიანობით გამოირჩევა და ერთწლიანი ნაზარდი ყლორტებიც შედარებით უკეთ ვითარდება;

4. 60 სანტიმეტრი სიმაღლის შტამბი მეტი მზის სხივებით სარგებლობს, ვიდრე 100 სანტიმეტრიანი შტამბი.

ກົມ່ວົງລາວ  
ກົມ່ວົງລາວ  
ກົມ່ວົງລາວ

ສຸກົມມະນີສ ສົມມະນີສ ການສົມມະນີສ ລາວ  
(ສົມມະນີສ ຕາຕະລາບ ສາງ  
ລາວ ແລ້ວ ສົມມະນີສ ມາຈະລາຍຫວັງ)

ສຸກົມມະນີສ ສົມມະນີສ ລາວ	60 ລວ.	34	28	80,3	25	62	1,54	68	100	19,3	8,8	51,4
(ມາກົມມະນີສ ລາວ 30-40 ຢື່ວມຕົວມີຄົນ ທີ່ມີຄົນ)	"	35	27	77,3	24,6	61,2	1,52	67,4	97	19	8,8	52
ສຸກົມມະນີສ ສົມມະນີສ	100 ລວ.	33,2	27,5	83	24,5	60,5	1,46	64,4	95	18,7	9,0	50
ຮູ້ຊັ້ນ ອົງຮູ້ຊັ້ນ	ຮູ້ຊັ້ນ											
(ຍັດຍຸດຍັດ ອົງຮູ້ຊັ້ນ ພົມມະນີສ ລາວ -ບົດຍັດຍັດ ຮູ້ຊັ້ນ ອົງຮູ້ຊັ້ນ)	ຮູ້ຊັ້ນ											
ຮູ້ຊັ້ນ ອົງຮູ້ຊັ້ນ	ຮູ້ຊັ້ນ											
(ຍັດຍຸດຍັດ ອົງຮູ້ຊັ້ນ ພົມມະນີສ ລາວ -ບົດຍັດຍັດ ຮູ້ຊັ້ນ ອົງຮູ້ຊັ້ນ)	ຮູ້ຊັ້ນ											
ຮູ້ຊັ້ນ ອົງຮູ້ຊັ້ນ	ຮູ້ຊັ້ນ											
(ຍັດຍຸດຍັດ ອົງຮູ້ຊັ້ນ ພົມມະນີສ ລາວ -ບົດຍັດຍັດ ຮູ້ຊັ້ນ ອົງຮູ້ຊັ້ນ)	ຮູ້ຊັ້ນ											
ຮູ້ຊັ້ນ ອົງຮູ້ຊັ້ນ	ຮູ້ຊັ້ນ											

მევენახეობის აგროტექნიკაში ყველაზე რთული და პასუხსაგები სატუშაოა ვაზის გასხვლა.

ეს სირთულე გამოიხატება იმაში, რომ გამსხვლელმა წინასწარ უნდა განსაზღვროს ვაზის ლონე და სიძლიერე, შემდეგ კი ამის კვალობაზე გაითვალისწინოს წლის მოსავალი, მომდევნო წლებში ვაზის ნორმალური ზრდა-განვითარება, ყოველწლიურად ყურძნის მოსავლის გადიდება და ვაზის მისმოიარობის პერიოდის გახანგრძლივება. ამ ლონისძიებათა განხორციელებისათვის საჭიროა თითოეულ ვაზს ინდივიდუალურად მივუდეთ.

1935 წელს, როდესაც აჭარაში პირველად გაშენდა დაბლარი ვენახი, საჭირო შეიქმნა ვაზის მოვლის ძირითადი აგროწესების დაზენა, რადგან ამ მთიან რაიონებში ვენახის მოვლის ტრადიციები დავიწყებული იყო. ვაზის გასხვლის ძირითად ფორმად მივიღეთ ცალმხრივი და ორმხრივი ქართული ფორმა, როელიც დასავლეთ საქართველოში ვაზის გასხვლის ძირითად ფორმად ითვლებოდა. იგი გულისხმობს ერთი ან ორი სამამულო და ამდენივე სანაყოფე ჩქის დატოვებას (ვაზის სიძლიერის მიხედვით). ჰართალია ვაზის გასხვლის ცალმხრივმა ფორმამ, როგორც ვიცით, დაკარგა თავისი პირვახდელი მნიშვნელობა საწარმოო ვენახებში და სახეცვლილება განიცადა, მაგრამ სხვლის ახალ ფორმაშიც უპირატესია ისეთი, რომელიც ვაზის მეტი დატვირთვის საშუალებას იძლევა და გამართლებულია. ჩვენს პირობებში. ვაზის სხვლის რაციონალური პრინციპის გაგებისა და შესწავლისათვის ქართულ ფორმას ვერ წავართმევთ უპირატესობას, მით უმეტეს, რომ ამ ფორმით სხვლის წესები და პრინციპები შეიძლება გაძოვიყენოთ ყველა სახის შპალერის დროს.

გასხვლის ქართულმა ფორმამ აჭარაში კარგი შედეგი გამოიღო და გზა გაგვიხსნა შემდგომში გაფორმების ახალი წესების წარმოებაში დანერგვისათვის.

აჭარის პირობებში, ისე, როგორც საქართველოს სხვა რაიონებში, სხვლა დასაშვებია ვაზის შესვენების პერიოდში, ფოთოლცვენის დამთავრებიდან კვირტების გაღვიძებამდე, ე. ი. ნოემბრიდან მარტის ბოლომდე.

ქართული სხვლის წესით ვაზის გაფორმება, რაც გულისხმობს ერთი ან ორი სამამულე და ამდენივე სანაყოფე ჩქის დატოვებას (ვაზის სიძლიერის მიხედვით), იწოდება ცალმხრივ ან ორმხრივ ქართულ ფორმად. მომდევნო წელს წინა წელს დატოვებული სანაყოფე მასზე განვითარებული რქებით ვაზს მთლიანად შორდება,

ხოლო სამამულებე განვითარებული ორი რქიდან ქვედა ჭიშაშმოწმებული ზე ისხვლებოდა, ზედა კი 6-8 კვირტზე. პრაქტიკამ ცხადყო, რომ სხვლის ეს წესი აფერხებს ვაზის ზრდა-განვითარებას, მრავილი „პრილობის“ მიყენების გამო, ვაზის სიცოცხლის პერიოდი მცირდება და ყურძნის მოსავალიც კლებულობს. როგორც ცნობილია, წინა წლის სანაყოფებე პოლარობის მოვლენების გამო) საქმიანობის მიერ რჩები ვითარდება, რომლებიც სიძლიერით ზოგჯერ სამამულებე განვითარებულ რქასაც სჭობს. სწორედ წინა წლის სანაყოფებე ასე კარგად განვითარებული რქების ღამატებით სანაყოფებე დატოვება უდევს საფუძვლად სხვლის თავისუფალი და სხვა წესით წარმოებას, სხვლის ეს წესი აჭარის პირობებში აღიდებს ყურძნის მოსავალს და აჩქარებს ვაზის ზრდა-განვითარებას.

ცდების მიხედვით გასხვლის თავისუფალმა ფორმამ აჭარის პირობებში ყველაზე უკეთესი შედეგი მოგვცა.

მოსავლიანობის გადიდების მიზნით, ვაზის გასხვლა აღრე გაზაფხულზე — მცენარეში წვენთა მოძრაობის დაწყებამდე უნდა დამთავრდეს. გასხვლაზე დიდად არის დამოკიდებული ყურძნის მოსავლიანობა. ცუდი გასხვლით შეიძლება მნიშვნელოვნად დავკარგოთ არა მარტო მიმდინარე, არამედ მომდევნო წლების მოსავლიც. ამიტომ ვაზის გასხვლა სათანადო ცოდნასა და დახელოვნებას მოითხოვს.

### ვაზის დატვირთვა-ფორმირების წესების დადგენა

აჭარა მდებარეობითა და ეკოლოგიური პირობებით მნიშვნელოვნად განსხვავდება საჭართველოს მევენახეობის სხვა რაიონებისაგან (თბილი მთის და ზღვის ჰავა, მაღალი ფერდობი ადგილები და სხვა), ამავე დროს აჭარაში საუკუნეების მანძილზე დავიწყებული იყო ვაზის მოვლის ტრადიციები, რაც აძნელებდა ამ ძვირფასი კულტურის აღორძინება-განვითარებას.

საჭართველოს მებაღეობა-მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის აჭარის საყრდენმა პუნქტმა მიზან-შეწონილად სცნო შეესწავლა, დაედგინა და წარმოებაში დანერგვა ვაზის მოვლის ის ძირითადი აგროლონისძიებანი, რომლებიც მიმართულია ყურძნის მოსავლის გაზრდისა და ხარისხის გაუმჯობესებისაკენ. აქედან გამომდინარე ძირითადი ყურადღება მიპყრობილი უნდა იყოს ვენახებში ვაზის დატვირთვა-ფორმირებისაკენ, რაც ჭიშისა და ეკოლოგიური პირობების კვალობაზე სხვადასხვაგვარ ზეგავლენას ახდენს ყურძნის ხარისხსა და მოსავალზე. ვაზის დატვირ-

თვისათვის და გასხვლის შესაფერი ფორმების დასადგენად 1957 წელს ქვედის, შუახევისა და ხულოს რაიონებში შევარჩიეთ კოლმე-ურნეობები და მოსავლიან ვენახში ვაწარმოვეთ ცდები. ავიღეთ ზატვირთვა-ფორმირების ისეთი ვარიანტები, რომელთაც საქართვე-ლოს სხვა ეკოლოგიურ პირობებში უკეთესი შედეგები მოგვცეს. ქვედის რაიონში ცდები ვაწარმოვეთ სოფლებში — აწესესა და ქე-დაში, შუახევის რაიონში — სოფელ შუახევში და ხულოს რაიონში სოფელ ოქტომბრის კოლმეურნეობაში.

სოფელ ქედის კოლმეურნეობაში გამოვცადეთ ჩხავერის ჯიში, ხოლო დანარჩენ სამ კოლმეურნეობაში — ცოლიყაური. ცდები გა-კიმერეთ ოთხჭერ. თითოეული დანაყოფი მოიცავდა 200-250 ძირ ვაზს შემდეგი ვარიანტებით:

1. ორმხრივი შპალერი 2 სანაყოფე და 2 სამამულე რქით, საე-რთო დატვირთვა 20-22 კვირტი;

2. ორმხრივი ორსართულიანი შპალერი 4 სანაყოფე და 4 სამა-შულე რქით, საერთო დატვირთვა 36-40 კვირტი;

3. თავისუფალი სხვლა 3-4 სანაყოფე და 2-3 სამამულე რქით, სერთო დატვირთვა 28-32 კვირტი;

4. თავისუფალი სხვლა 3-4 სანაყოფე და 3-4 სამამულე რქით, სერთო დატვირთვა 36-40 კვირტი;

5. ორმხრივი მოკლე კორდონი 4 სანაყოფე და 4 სამამულე რქით, საერთო დატვირთვა 36-40 კვირტი.

ყოველ საცდელ ნაკვეთში ვაზის კვების არე 2,25 კვადრატულ მეტრს შეადგენდა. ცდის დაწყებამდე ვაზი ისხვლებოდა ქართული წესით ერთ სანაყოფესა და ამდენსავე სამამულებე 10-12 კვირტის დატვირთვით. მოსავალი ჰქებულზე საშუალოდ 40-50 ცენტნერს უდრიდა, ვაზის საგრძნობლად ძლიერი ვეგეტაციური ნაზარდის მი-უხედავად. ამის გამო საცდელ ნაკვეთზე ეს ფორმა — ერთი სანა-ყოფე და ერთი სამამულე რქა — უარყოფილ იქნა და საკონტრო-ლოდ უფრო ძლიერი დატვირთვა — ორმხრივი შპალერი შეირჩა. გამოსაცდელად იღებული ფორმების და გადიდებული დატვირთვის მისალებად ვაზის გასხვლისას დატვირთვა ყოველწლიურად თანდა-თანმიმდევ მატულობდა და მესამე წლიდან ცდის დამთავრებამდე ყველა ვარიანტში ვაზი ნავარაულევი დატვირთვით გაისხლა. დაკვი-რვება 6 წელიწადს გრიელდებოდა (1957-1962 წწ.). ქვემოთ მოგ-ვყავს ექვსი წლის საშუალო მონაცემები ვაზის დატვირთვის, ზრდა-განვითარების, მოსავლისა და ყურძნის ხარისხის შესახებ.

№ 6 ცხრილში წარმოდგენილი ექვსი წლის საშუალო მონაცე-მებიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ:

1. აჭარის პირობებში ცოლიყაური უფრო მაღალ მოსავალს



იძლევა (120-130 ცენტიმეტრი ჰექტარზე), უიდრე ჩხავერის ნორმული ნტერი ჰექტარზე);

2. მიუხედავად მაღალი მოსავლიანობისა, ცოლიყაური არ სუსტდება და წლების განმავლობაში მისი რეების საშულო ნაზარდ 100-120 გრამს ჰვევით არ ეცემა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ იქ მთელი რიგი წლების მანძილზე შეიძლება იყოს უხევმოსავლიანი;

3. მიუხედავად ზღვიდან დიდი მანძილით დაშორებისა და უხევნალექებისა, ცოლიყაური შესაფერ სიმევესთან ერთად საკუმარის რაოდენობის შაქარსაც აგროვებს (18-19 პროცენტს), ხოლო სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობებზე გაცილებით მეტს (23-24 პროცენტს);

4. ჩხავერი მართალია დაბალ მოსავალს იძლევა (50-60 ცენტ-ნტერი ჰექტარზე), მაგრამ უფრო მეტ შაქარს შეიცავს. მიუხედავად იშისა, რომ საცდელი ნაკვეთი ვაკე ადგილზეა გაშენებული, შაქარანობამ აქ 19 პროცენტი შეადგინა, ხოლო შესაფერ ფერდობებზე გაშენებული ჩხავრის შაქრიანობა ბევრად მაღალია — 21-22 პროცენტი.

5. სხვლის თავისუფალი ფორმა აჭარაში აღიარებული უნდა იქნეს, როგორც წამყვანი ფორმა ყველა ჯიშის ვაზის მიმართ, კვების არის მაუხედავად.

სხვლის ეს წესი, სხვა ფორმებისაგან განსხვავებით, ვაზის გარკვეულ ჩარჩოებში ჩაყენებას არ ითვალისწინებს. თავისუფალი ფორმის დროს მცენარის ზრდა-განვითარებისათვის შესაბამისად ვაზზე რჩება 2-6 სანაყოფე და ამდენივე არანაკლები სამამულე.

შემდეგ წლებში საფორმე ელემენტების რაოდენობა ვაზის განვითარების მიხედვით იცვლება. ამრიგად თავისუფალი ფორმა მარაოს მიემსგავსება და მრავალსაკვებიან ფორმას წარმოადგენს.

თავისუფალ ფორმას ძირიდანვე გაყოფილი შტამბი და თითო-ეულ მათგანზე 2-3 რქა უნდა ჰქონდეს. აქედან ზოგი ისხვლება სანაყოფედ, ზოგი კი სამამულედ. სანაყოფეზე რჩება 6-10 კვირჩი; სავალდებულო არ არის, რომ ისინი ერთმანეთისაგან თანაბარი მანძილით იყონ დაშორებულნი და ერთნაირ სიმაღლეზე მდებარეობდნენ.


ახალშენ ვენახში თავისუფალი ფორმის მისაღებად, გასხვლის პირველ წელს ვაზზე შეირჩევა 2-3 რქა, აქედან ზოგი გაისხვლება პირველი მავთულის სიმაღლეზე, ზოგი კი მეორე მავთულის სიმაღლეზე.\*

\* საქართველოს სსრ მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ონსტიტუტი, მევენახეობის აგროწესები, თბილისი 1975 წ. გვ. 71.



თავისუფალი სხვლის ფურცელი, გასხვლის პირველი წელი  
მაისში ვაზი უნდა გაიღურჩენოს და თითოეულ რქაზე დატო-  
ებული იქნას 2-3 ზედა ყლორტი.


გასხვლის მეორე წელს ვაზზე შეიძლება 4-6 რქის დატოვება,  
ქედან ზოგი გაისხვლება სანაყოფედ, ზოგი სამამულედ და პირველ  
და მეორე მავთულზე დაკავდება.



თავისუფალი სხვლის ფორმა, გასხვლის მეორე წელი

განვითარებული  
გამოცავის

შემდეგ წლებში ყურადღება ექცევა ვაზის რქების განვითარებული ბას და მათ სიძლიერეს. თუ წინა წელს დატოვებული კვირტები კარგად განვითარდა, მეორე წელს შეიძლება უფრო მეტი სანაყოფის დატოვება (3-4, ნაცვლად 5-6-ისა). თითოეული მათვანი სიძლიერის მიხედვით გაისხვლება 6-10 კვირტზე.




თავისუფალი სხვლის ფორმა, გასხვლის მესამე წელი

ამავე დროს აუცილებელი არ არის სანაყოფები რქა წინა წლის სამამულებელი მდებარეობდეს. თუ ვაზი და მასზე არსებული რქების ზრდა შედარებით სუსტია, წინა წელთან შესაბამისად ნაკლები სანაყოფები რქა უნდა იქნეს დატოვებული.


ქართული ორმხრივი ზპალერი. ამ ფორმისას ვაზზე ტოვებენ ორ სამამულებელ და ორ სანაყოფების რქას, სამამულებელი ისხვლება 2 კვირტზე, სანაყოფები კი რქის სიძლიერის მიხედვით — 7-12 კვირტზე. ეს ფორმა ძირითადად იმ ვენახებში გამოიყენება, სადაც ვაზის კვების არე 2-2,5 კვ. მეტრს არ აღემატება.

გასხვლის პირველ წელს ძლიერ ვაზზე შეირჩევა ორი ერთმანეთის მოპირდაპირედ განწყობილი რქა, რომლებიც შტამბის სიძლებები გაისხვლება და ვერტიკალურად აიკვრება.

კვირტების განვითარების შემდეგ მაისის თვეში თითოეულ შტამბზე შეირჩევა 2-4 ყლორტი, დანარჩენი მოცულობა ისხვლება. სუსტი ზრდის ვაზი ქვედა 3-4 კვირტზე გაისხვლება. მეორე წელს შტამბზე გასხლული ვაზის თითოეულ მხარეზე დარჩება ორი რქა, აქედან ქვედა სამამულებელი ვაზის 2 კვირტზე, ზედა სანაყოფები — 6-8




ქართული ორმხრივი შპალერი გაუსხლავი კვირტზე. თითოეული მხარე ერთმანეთისაგან 10-12 სმ-ის დაშორებით პირველ მავთულზე ჰორიზონტალურად დაკავდება. შედარე-




### ქართული ორმხრივი შპალერი გასხლული

ბით სუსტად განვითარებული ვაზი გაისხვლება შტამბის სიმაღლეზე. შემდეგი წლიდან ძლიერი ვაზი სრული დატვირთვით ისხვლება, ე. ი. რჩება 2 საბა ულე ორ-ორ კვირტზე და 2 სანაყოფე თითოეული 7-12 კვირტზე, ზრდის სიძლიერის შესაბამისად.



ცალმხრივი შპალერიდან ვაზის ორმხრივ შპალერზე გადაყვანა  
ა) გასხვლამდე




ბ) გასხვლის შემდეგ

ვაზის სოკოვან დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა


აჭარის ყველა ზონაში ვხვდებით ვაზის ამა თუ იმ დაავადებას, უმთავრესად კი გავრცელებულია ჭრაქი და ნაცარი.

ჭრაქი აზიანებს მცენარის ყველა მწვანე ნაწილს და მასობრივ ვად გავრცელებისას შეუძლია მთლიანად დაღუპოს მოსავალი.

ამ დაავადების დროს ვაზის ფოთლის ჭვედა მხარეზე სოკო



ქართული ორმხრივი შპალერი გასხვლამდე



ორმხრივი შპალერის ფორმის გადაყვანა თავისუფალი სხვლის  
(მრავალსაკავებლიანი) ფორმაზე

ქმნის თეთრ ფიფქს, რომელიც საბოლოოდ მთლიანად ფარავს ფოთოლს. ფოთლის ზედა მხარეზე ჯერ ჩნდება ზეთისებრი ყვითელი ღუქები, შემდეგ მურა ქანგისფერს იძენს და ახმობს ფოთოლს. ასეთი დაავადება თავს იჩენს ყვავილზე, მარცვლებსა და ახალგაზრდა ყლორტებზე; დაავადებული მარცვლები შავლება, ჰქნება და ცვივა. ჭრაქით დაავადების თავიდან ასაცილებლად იხმარება ერთ-პროცენტიანი ბორდოს ხსნარი. მისი დამზადებისას ხის ან თიხის

ჭურჭელში უნდა ჩავსხათ 90 ლიტრი წყალი და ჩავუშვათ მარის პარკში გახვეული ერთი კილოგრამი შაბიამნი, მეორე ჭურჭელში — 10 ლიტრი წყალი და ერთი კილოგრამი ჩაუქრობელი კირი. შემზადებულ ხსნარებს დროგამოშვებით ჯონით უნდა ავურიოთ.

ხსნარების დაყენების შეორე დღეს, თუ თბილი და წყნარი ამინდია, ორივე ხსნარი ერთმანეთში უნდა შევურიოთ. ამის შემდეგ საცერს დავადგამთ შაბიამნის ჭურჭელს და დავსხამთ კირის რქეს. შესქელების შემთხვევაში ამოვილებთ შაბიამნის ხსნარს, დავუმატებთ შესქელებულ კირს და ხელმეორედ გავატარებთ საცერში. ნაზა ბორდოს ხსნარს როგორც წესი, უნდა ჰქონდეს ნეიტრალური ან ტუტე რეაქცია. თუ ამინდი არახელსაყრელია (მოლიუბლულობა ან წვიმა მოსალოდნელი), მაშინ შაბიამნისა და კირის ხსნარი ცალკე უნდა შევინახოთ და დაველოდოთ ხელსაყრელი ამინდის დაფგომას. როდესაც შაბიამნს ან კირს შევაზავებთ, ხსნარი იმავე დღეს უნდა დაიხარჯოს, შაბიამნი ვენახს უნდა შევასხუროთ წყნარ ამინდსა და მშრალ პირობებში. შესხურების დროს ხსნარის წვეთები ფოთლის ქვედა მხარეს კარგად უნდა მოხდეს, რათა წვრილი შეფეხი ფოთლებს წინწკლებად შერჩეს.

მრავალი წლის გამოცდილებიდან გამომდინარე, აჭარაში ვაზი პირველი და მეორე წამლობა უნდა ჩატარდეს ყვავილობის დაწყებამდე, ხოლო მესამე წამლობა ყვავილობის დამთავრებისთანავე, შეოთხე და მეხუთე წამლობა კი ამინდის კვალობაზე. გავიხსენოთ ქართული ხალხური სიბრძნე: ვაზს უთქვას: „მე რომ ყვავილში შევალ, ნეტავი ჩემი პატრონი ავად გახდესო, ვერც თვითონ შემოვადა ვერც სხვას შემოიყვანოსო“. ასე რომ, ყვავილობის პროცესში არამცდაარამც არ შეიძლება შეწამვლა.

ახლად გაშენებული ვენახი უნდა შეიწამლოს ვეგეტაციის პერიოდში ათ-თორმეტჯერ, ხოლო სანერგეზი ახლად დარგული ვაზი ყოველ შვიდ დღეში ერთხელ.

ნაცარი აავადებს ფოთლებს, ყვავილს, ნაყოფსა და ყლორტებს. ამ ავადმყოფობის დამახასიათებელია ნაცრისფერი ფიფქი, რომელიც წარმოიშობა უმთავრესად ფოთლის ზედა მხარეზე ოდნავ ამოზნექილი ლაქების სახით, რამდენიმე ხნის შემდეგ ფიფქი ფხვნილისებური ხდება. ნაცრით ძლიერ დაავადებული ფოთლები მუქდება, ნაოჭდება და ხმება. დაავადებულ ყვავილში განაყოფიერება ნორმალურად არ მიმდინარეობს. ნაცარი უფრო ხშირად ნაყოფზე ვითარდება და მეტად საზიანოა ისრიმობის ფაზაში: დაავადებული შარცვალი აღარ იზრდება, მას კანი უხევდება და უსკდება იმღენად, რომ ხშირად წიპწაც გამოჩნდება ხოლმე.

  
ნაცრის წინააღმდეგ იხმარება გოგირდი. გოგირდის შეფრქვევა  
კარგ შედეგს იძლევა მაღალი ტემპერატურის დროს, მზიან, წყნარი აღმინდში (ნამის აშრობის შემდეგ), შუადლისას კი დიდ სიცემში შე-  
ფრქვევას უნდა ვერიდოთ.

პირველი შეფრქვევა ტარდება ყვავილობამდე, მეორე ყვავი-  
ლობის პერიოდში, მესამე და მეოთხე კი ყვავილობის შემდეგ.

როდესაც ჭრაქისა და ნაცრის წინააღმდეგ წამლობის ვადები  
ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ გოგირდი უნდა შევაფრქვიოთ ბორდოს  
სითხის შესხურების შემდეგ ან ბორდოს ხსნართან ერთად უნდა ვი-  
შმაროთ ხსნადი გოგირდი.

### სასუქის გამოყენება ვენახში

მინერალური და ორგანული სასუქების რაციონალურად გამო-  
ყენება მყარი და ხარისხიანი პროდუქციის მიღების საწინდარია.

გამოცდილმა კოლმეურნებმა იციან, რომ სასუქების წესიე-  
რად გამოყენებით შესაძლებელია მოსავლიანობის ერთიორად გა-  
დადება.

საღაო არ არის, რომ აგროტექნიკურ ღონისძიებათა შორის სა-  
სუქი ყველაზე ძლიერი ფაქტორია.

ვაზი, როგორც მრავალწლიანი მცენარე, ერთსა და იმავე ნაკვე-  
თზე მრავალი ათეული წლის განმავლობაში ცოცხლობს, ამიტომ  
ნაკვეთს ესაჭიროება საკვები ნივთიერებებით ხელოვნური განოყიე-  
რება.

სამუშაო პროცესების რაციონალურად წარმართვა უპირველე-  
სად გულისხმობს ნიაღაგის ნაყოფიერების აღდენას და იმ მიზნით  
სასუქების გამოყენებას. ამ ღონისძიებათა გატარებას აჭარის პირო-  
ბებში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

აჭარაში ვაზი ძლიერ იზრდება და მაღალმოსავლიანია, ნიაღაგი  
კი ღარიბია დ მეტი განოყიერება ესაჭიროება, სამწუხაროდ, ამაზე  
ნაკლებად ზრუნავენ.

ფესვთა სისტემასთან სასუქების მიახლოების მიზნით საჭიროა  
ნიაღაგში მათი ღრმად შეტანა მწკრივებში გატარებული ღრმა კვლე-  
ბის დახმარებით, განსაკუთრებით მცირე ნალექებიან რაიონებში.

დაღასტურებულია, რომ მინერალური სასუქების ნიაღაგში  
ღრმად შეტანა უკეთეს შედეგს იძლევა, ვიდრე მათი ზედაპირზე  
მოფრქვევა და ჩახვნა-ჩაბარვა. \* სასუქების ცალმხრივი შეტანა (გან-  
საკუთრებით აზოტოვანი სასუქების) მკვეთრად ამცირებს პროდუქ-  
ციის ხარისხს: კლებულობს ყურძნის შენახვის უნარი და იგი სიმწი-

ფის პერიოდშივე ლპება. ამგვარი მასალისაგან დამზადებულია ღია ნორა დიდხანს არ იწმინდება, ნაკლებ ჰარმონიულია და დიდხანს არ ინახება. ამიტომ უპირატესობა უნდე მიეკუთვნოს ორგანულ-მინერალური სასუქების ნარევის სახით შეტანას, როგორც ეს მოქმედი აგროწესებითაა გათვალისწინებული.

კირი აუმჯობესებს ნიადაგის ფიზიკურ თვისებებს, ანეიტრალებს მყავე რეაქციას, რითაც საგრძნობლად ზრდის ნიადაგის ნაყოფიერებას. ამის შედეგად მკვეთრად მაღლდება ყურძნის ხარისხიც.

კირი არასოდეს არ უნდა ავრიოთ სხვა მინერალურ სასუქებში, არამედ ცალკე უნდა შევიტანოთ ნიადაგში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ორგანული სასუქების (ნაკელი, ტორფი) გამოყენებას, რადგან ამ სასუქების საკმაოდ დიდი რეზერვებია აჭარაში: ნაკელი ბევრია საზაფხულო საძოვრებზე, ხოლო ტორფი ქობულეთის რაიონში.

ამ ღონისძიებათა გატარება დიდად შეუწყობს ხელს მევენახეობის შემდგომ განვითარებას. ახლო მომავალში გაცილებით მეტი ყურძენი მიეყიდება სახელმწიფოს და მნიშვნელოვნად გაიზრდება კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი.

### ვაზის მწვანე ნაწილების ოპერაციები

ვაზის მწვანე ოპერაციების ღროწე და მაღლხარისხოვნად წარმოება ერთ-ერთი აუცილებელი და მეტად მნიშვნელოვანი სამუშაოა.

მწვანე ოპერაციების შემსრულებელი კარგად უნდა იცნობდეს სხვლის წესებს, დახელოვნებული უნდა იყოს პრაქტიკულ მუშაობაში, რადგან ყლორტების ვარგისიანობის სწორად განსაზღვრას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ღროულად და წესიერად თუ შევაცლით ყლორტებს, ამით უზრუნველვყოფთ ვაზის ნორმალურ ზრდა-განვითარებას, ხოლო ყლორტების უწესოდ შეცვლის შემთხვევაში ვაზი დასუსტდება.

რაც უფრო ადრე ხდება ზედმეტი ყლორტების მოცილება, იმდენად ნაკლები საზრდო იყარგება და დატოვებული ყლორტები უფრო კარგად და ნორმალურად ვითარდებიან. ამიტომ ეს ოპერაცია ვაზის შტამბზე ყლორტების განვითარების დაწყებისთანავე უნდა ჩავატაროთ.

შტამბზე ამონაყარი ყლორტების უმეტესობა მცენარეს უნდა მოვაცილოთ. ის ყლორტები კი, რომლებიც მომავალი წლისათვის გადასაწვენად, შტამბის დასაღაბლებლად ან სამამულე რქაზე არა-





წესიერად გამოტანილი ყლორტების შესაცვლელად გვინდა, უნდა შევუნარჩუნოთ.

სამამულესა და **სანაყოფე** რქის ზედმეტი ყლორტები ნაზარდის განვითარებას ისეთ ფაზაში უნდა მოვაცილოთ, როდესაც აღვილია შესავლიანი და უნაყოფო ყლორტების გარჩევა. ხშირად ამ სამუშაოს მხოლოდ უნაყოფო ყლორტების მოცილებით საზღვრავენ, რაც სწორი არ არის, ვინაიდან ვაზისათვის მწვანე ზედაპირი და ფოთლების განსაზღვრული რაოდენობა აუცილებელია მისი არსებობისათვის.

ვაზის ყლორტების სუსტი ზრდის შემთხვევაში სანაყოფეზე უნაყოფო ყლორტების შეცლა მიზანშეწონილი არ არის.

მევენახეობა-მელვინეობის განვითარების საქმეში აჭარის პირობებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ცალკეული აგროლონისძიებების შესწავლას, ამიტომ საყრდენმა პუნქტმა საჭიროდ სცნო მწვანე ოპერაციებიდან ცის გახსნის აგროვადების დადგენა.

ცის გახსნა მოიცავს ყლორტების წერტილების მოცილების ოპერაციებს. ეს სამუშაო სრულდება ვაზის ზრდის შენელების პერიოდში, მაშინ, როდესაც ყლორტი გახევებულია. ცის გახსნას მიმართავენ მევენახეობის თითქმის ყველა რაიონში, მაგრამ მას ხშირად ზერელედ ატარებენ, ამიტომ ეს ოპერაცია სასარგებლო რომ იყოს, მისიათვის საჭიროა იგი სრულდებოდეს ვაზის ჯიშური თვისებებისა და აღვილის კლიმატური პირობების შესაბამისად.

ამ მიზნით ცდები ვაწარმოეთ 1965-1967 წლებში შემდეგი სქემის მიხედვით.

ცის გახსნა	5 ივლისი
—, —	15 ივლისი;
—, —	25 ივლისი.

დანაყოფზე: ორი მწყრივი, განმეორება 4, კვების არე 2,25 კვადრატული მეტრი, ცდა ჩატარდა ქედის რაიონის სოფელ ცხემნის და შუახევის რაიონის სოფელ შუახევის კოლმეურნეობაში. იხ. ცხრილები №№ 7, 8.

- სამი წლის დაკირვებამ გვიჩვენა, რომ ქედისა და შუახევის რაიონების პირობებში ვაზის ცის გახსნა უნდა მოხდეს ყოველი წლის 25 ივლისიდან. ამ ოპერაციის ამ ღრაიისათვის ჩატარება ხელს უწყობს ყურძნის უხვი მოსავლის მიღებას და აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს. ამ შემთხვევაში ორგანული ნიერებების შედარებით მეტი ნაწილი ხმარდება რქისა და ნაყოფის განვითარებას, ამასთან ნაწილობრივ აუცილებელია სიცხისაგან მტევნების და-

ზიანება, საგრძნობლად მცირდება ზედმეტი ყლორტების უნდა რეალური რებაც, რაც დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან.

ცის გახსნა ხელს უწყობს აგრეოვე ვეგეტაციური ნაწილების მომწიფებას და იძლევა კარგ სანაშეენე მასალას.

### ვენახის მორწყვა

დასავლეო საქართველოში, როგორც ჭარბტენიან შხარეში, ვენახს უმეტეს შემთხვევაში არ რწყავენ. საერთოდ კი მორწყვა დაკავშირებულია ტენისაღმი ვაზის მოთხოვნილებაზე (განვითარების ცალკეული ფაზების მიხედვით), ნიაღაგის ხარისხსა და მის ფიზიკურ თვისებებზე.

აქარის მთიან რაიონებში ზღვის დონიდან 400-1.1000 მეტრზე გაშენებულ ზვრებს ზაფხულობით ტენი აკლიათ. ეს აფერხებს ვაზის ცალკეული ორგანოების ზრდა-გნოითარებას, ამცირებს ნაცშირბადის შეთვისებას და ხელს უშლის ყურძნის სრულ დამწიფებას: მარცვლები აღარ იზრდება, წვრილია, ნაკლებ წვნიანია და გასქელებული კანი აქვს. ამიტომ საგრძნობლად მცირდება ყურძნის მოსავალი და ეცემა მისი ხარისხი.

ზულოს რიონის სოფელ დიოქნისის კოლმეურნეობაში 4 ჰექტარზე გაშენებული ალიგოტე 1966 წელს გვალვების გამო დაკინძა. აგვისტოში ეს ნაკვეთი მოვრწყით და სულ რაღაც 10-15 დღის შემდეგ ვაზი საგრძნობლად გამოკვეთდა, წინა წელთან შედარებით ყურძნის საშუალო საპექტარო მოსავალი გაუვალისწინებული 50-55 ცენტნერის ნაცვლად 68 ცენტნერამდე გაიზარდა. 1969 წელს ამ კოლმეურნეობაში მოეწყო ვაზის ორჯერადი მორწყვა. პირველი — იფლისში, მეორე კი — აგვისტოში.

მეორე რწყვის დროს საგრძნობლად იმატა ვაზის ვეგეტაციმ, დაიწყო ყლორტების ძლიერი ზრდა. შემდგომში ამ კოლმეურნეობაში ვენახების მორწყვა, როგორც მოსავლის ზრდის ერთ-ერთი პირობა, ტრადიციად დამკვიდრდა.

ამ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენი მონაცემები შევადარეთ პროცესორ გ. ტ. სელიამინვის (1938-26) შრომაში მოტანილ აგროკლიმატურ მაჩვენებლებს, სადაც ნაკლებტენიანი პერიოდი 0,9-1,0 ჰიდროთერმიული კოეფიციენტით ხულოში აღინიშნება 7 ივლისიდან 23 აგვისტომდე. უფრო გვალვიანი დღეები დგება 31 ივლისიდან 15 აგვისტომდე და ამ პერიოდში საჭიროა ნიაღაგის მორწყვა. ამრიგად, 7 ივლისიდან 23 აგვისტომდე (47 დღის განშავლობაში) რაიონის სავარგულები ორჯერ უნდა მოირწყოს.



შუახევის რაიონის ზონაში (ფურტიოში) ნაკლებტენიანი პერი-  
ოდი იწყება 20 ივლისიდან და გრძელდება 2 სექტემბრამდე 174 დღე). ცხადია, აქაც აუცილებლად საჭიროა მორწყვა. ამ პერიოდში  
გამოიყოფა ორი უფრო გვალვიანი დღეები — 5 ივლისიდან 2 სექ-  
ტემბრამდე (59 დღე).

ქედის რაიონი ხასიათდება როგორც ზომიერი, ისე ჭარბტენია-  
ნი პერიოდით. აქ საერთოდ ვენახს მორწყვა არ სჭირდება, მაგრამ  
პრატიკული გამოცდილებიდან გამომდინარე ზოგიერთი ნაკვეთი  
მაინც საჭიროებს მორწყვას.

საერთოდ კი უმჯობესია, რომ ამ რაიონებში ვენახების მორწყ-  
ვა დაკანონდეს, როგორც სხვა აგრძოლინისძიებანი. მოსახლეობა უნ-  
და დარწმუნდეს მორწყვის სიკეთეში და იზრუნონ სარწყავი არხე-  
ბის მოწყობაზე.

მთიან რაიონებში (ადგილმდებარეობისა და კლიმატური პირო-  
ბების გათვალისწინებით) ვენახების მორწყვა უნდა ჩატარდეს ზა-  
ფხულის განმავლობაში ორჯერ შემდეგ ვადებში.

### სულოს რაიონში

პირველი მორწყვა — 10-დან 25 ივლისამდე; მეორე მორწყვა  
— 10-დან 20 აგვისტომდე;

### შუახევის რაიონში

პირველი მორწყვა — 10-დან 20 ივლისამდე; მეორე მორწყვა  
— 5-დან 20 აგვისტომდე.

მორწყვა დიდ გავლენას ახდენს ვაზის ზრდა-განვითარებაზე და  
მკვეთრად აღიდებს მოსავალს, აგრეთვე, აუმჯობესებს ყურძნის ხა-  
რისხს.

### სეტყვისაგან დაზიანებული ვაზის მოვლა

აჭარის მთიან რაიონებში სასოფლო-სამეურნეო კულტურები-  
სათვის საზიან ძლიერი სეტყვა ძალზე იშვიათი მოვლენაა, ღრმა  
შოხუცებსაც კი არ ახსოვთ ასეთი რამ, თუ მხედველობაში არ მივი-  
ღებთ 1969 წლის 24 ივნისში მოსულ სეტყვას.

ამ სეტყვამ საგრძნობლად დააზიანა ქედის რაიონის ექვსი კო-  
ლმეურნეობის სასოფლო-სამეურნეო კულტურები, მათ შორის ვა-  
ზი. კერძოდ, სოფელ აგარაში მოსულმა სეტყვამ მთლიანად გაანად-  
გურა კოლმეურნეობისა და საკარმილამო ნაკვეთებზე გაშენებული  
ვენახები.

მართალია სეტყვა იშვიათია აჭარაში, მაგრამ მაინც საჭიროა.



## ვიცოდეთ ზოგიერთი რამ სეტყვისაგან დაზიანებული ზვრების დამატებითი დანართი

სეტყვა აზიანებს ვაზის საფორმე ელემენტებს და უარყოფითად მოქმედებს აგრეთვე მომდევნო წლის მოსავალზე.

სეტყვისაგან დაზიანებული ვაზის მთლიანად იღდგენა გასხვლის საშუალებით არ შეიძლება. ეს ოპერაცია ხელსაყრელ პირობებში გამოიწვევს მხოლოდ მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესებას.

თუ ჩვენ გვინდა დასეტყვილი ვაზის მოვლის წესები დავადგინოთ, უპირველესად უნდა ვიცოდეთ, თუ რამდენად მიზანშეწონილი იქნება სხვლის გამოყენება კონკრეტულად მოცემული დაზიანებული ვაზის გასაძლიერებლად. ამიტომ ჯერ საჭიროა სწორი დიაგნოზის დასმა და შემდეგ სხვლის წესების მისადაგება.

პროფესორი ვ. ქანთარია\* აღნიშნავს, რომ დასეტყვილი ვაზის სხვლას უნდა მივმართოთ იმ შემთხვევაში, როდესაც სამაშულე ყლორტები დაზიანებულია უწყვეტ ზოლებად და მთლიანად მოსპობილია ყველა სახის მწვანე ნაწილები. ამასთანავე სხვლის გამოყენების საკითხი უმეტეს შემთხვევაში დასმული უნდა იქნეს ყვავილობის დაწყებამდე, დასეტყვის შემთხვევაში უფრო გვიან. დასეტყვის შემთხვევაში მასობრივად გასხვლას იშვიათად მიმართავენ.

ყვავილობის დაწყებამდე 10-15 დღით ადრე ვაზის დასეტყვისას გასხვლის უკეთეს წესად უნდა მივიჩნიოთ პირველადი ნაზარდის ცილა მთლიანად. ამ დროს მეორადი ყლორტების განვითარება გათვალისწინებული უნდა იქნეს იმ ფარული, მარტივი და შემცვლელი კვირტებისაგან, რომლებიც ვეგეტაციის დასაწყისში რამე მიზეზით არ განვითარდნენ. მარტივი და ფარული კვირტებისაგან განვითარებული ყლორტები კი უმეტეს შემთხვევაში უმოსავლოა ან ხაკლებ მოსავლიანია. ადრე დასეტყვის დროს დაზიანებული ყლორტების ბაზისების დატოვება გასხვლისას ნამხევების მიღების თვალსაზრისით მიზანშეწონილად არ ჩაითვლება, ვინაიდან მათი მდებარეობა ნაკლებად ხელსაყრელია ვაზის ფორმის აღსაღებად, ამავე დროს ამ პერიოდში იღლიიდან ვითარდება ნამდვილი ნაშარი, რომელიც ჩვეულებრივად უმოსავლოა. ამგვარად, როგორც ნაზარდის, ისე მეორადი მოსავლის მიღების თვალსაზრისით, ვაზის ამ ფაზაში ნამხარი აღარ არის საინტერესო.

ყვავილობის პერიოდში დასეტყვის დროს, როდესაც სხვლა მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ, უმჯობესია ვაზი გავსხლათ კომბინირებული წესით, ე. ი. დაზიანების ხასიათისა და ხარისხის მიხედვით, ყლორტების მთლიანად მოჭრით ან მუხლიანი ბაზისის დატო-

\* პროფ. ვ. ი. ქანთარია, თბილისი, 1950, გვ. 243.

ვებით. სხვლა დამოკიდებულია ძირითადი სამამულე ყლორტების განვითარების ხაზის სამამულე ყლორტების განვითარების საშიშროება არ არის, არ უნდა გაისხლას.

სეტყვისაგან დაზიანებული ვაზის გასხვლა რამდენადაც დაგვიანდება, იმდენად უფრო ადვილად განვითარდება იღლიის კვირტები. რომელთაგანაც ნორმალურად უნდა იქნეს მიღებული მომავალი წლის ძირითადი ყლორტები.

სეტყვისაგან დაზიანებული ვაზის გასხვლის შედეგად მიღებული მეორადი ნაზარდის მტევნები და მარცვლები ნაკლები სიდიდისაა, ვიდრე პირველადი ყლორტებისა. მეორად მოსაგალში საქმარაოდენობით არის შექარი, მაგრამ მუავიანობა მაინც ძლიერ მაღალი რჩება. ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ პირველ პერიოდში ჩატარებული სხვლის შედეგად მიღებული მეორადი მოსავლის ხარისხი. ძლიერ გვიან წარმოშობილი მეორადი მტევანი რასაკვირველია არ დამწიფდება და მისი ხარისხი მხედველობაში არ მიიღება. უდაოა, რომ ნასეტყვი ვაზის გასხვლის შედეგად მიღებული ყლორტი და ყვავილები განსაკუთრებით ზიანდებიან ჭრაქითა და ნაცრით, რის გამოც აუცილებელია შაბიამნის ხსნარის შესხურება და გოგირდის შეფრქვევა რაც შეიძლება ხშირად. ასევე საჭიროა დასეტყვის შემდეგ შაბიამნის შესხურება იმ ვაზისათვის, რომელიც არ ისხვლება.

## დასკვნები და წინადაღებები

შევენახეობა-მეღვინეობის დაქვეითება-დაცემას აჭარაში ხელი შეუწყო ყოფა-ცხოვრების იმ წესებმა, რომლებიც დამკვიდრდა ამ კუთხეში თურქეთის საუკუნოვანი ბატონობის პერიოდში.

თურქი დამპყრობლების მიერ აჭარის მდიდარი ტყეების გაჩეხვა-გადაწვის გამო რამდენამდე შეიცვალა ამ კუთხის ბუნებრივ-კლიმატური პირობები. შალალი მთების გაშიშვლებამ ბუნება უფრო მკაცრი გახდა, მაგრამ სამრეწველო მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობები მაინც დარჩა.

ვენახების გაშენება ძირითადად წარმოებს აჭარისწყლის ხეობის ორივე მხარეზე, განსაკუთრებით კი მარცხენა მხარეზე. შერჩეული ჯიშების მიხედვით, მევენახეობა შეიძლება განვითარდეს ზღვის დონიდან 1100 მეტრ სიმაღლემდე. ცნობილია, რომ სავენახე ფართობები ამჟამად დაკავებულია თამბაქოს კულტურით. შემდგომში ვენახი უნდა გაშენდეს ფერდობებზე დატერასებით. ეს საკითხი უნდა გაისხლას.

და გადაწყვიტოს სპეციალურმა კომისიამ ადგილობრივი პირობების  
გათვალისწინებით:

ა) ქვედა ზონაში მევენახეობა უნდა განისაზღვროს ევროპული  
ტიპის მსუბუქი სუფრის ღვინის წარმოებით. ძირითადად ამ ზონაში  
უნდა დაინერგოს სუფრის ყურძნის ჭიშები, ადგილობრივი კურორ-  
ტებისა და ქალაქების ახალი ყურძნით მოსამარაგებლად;

ბ) საშუალო ზონაში მეღვინეობას უნდა მიეცეს, როგორც სუ-  
ფრის მშრალი, ასევე ნახევრად ტებილი და საკონიაკე ღვინო-მასა-  
ლის მიმართულება.

გ). მაღალ ზონაში მეღვინეობას მიეცემა ადგილობრივი მოხმა-  
რების ღვინის, შამპანური და საკონიაკე ღვინო-მასალის წარმოების  
მიმართულება.

წლების მანძილზე ჩატარებული მუშაობით დავადგინეთ, რომ  
თანამედროვე დონეზე აგროტექნიკის დანერგვით აჭარაში შეიძლე-  
ბა ყურძნის უხვი და ხარისხოვანი მოსავლის მიღება, სათანადო ტე-  
ქნოლოგიის გატარებით კი მაღალხარისხოვანი ღვინო-მასალის წარ-  
მოება. ამისათვის უნდა განხორციელდეს შემდეგი კომპლექსური  
აგროტექნიკური ღონისძიებანი:

1. ვენახები უპირატესად უნდა გაშენდეს სამხრეთ და სამხრეთ-  
აღმოსავლეთ ფერდობებზე. შერჩეულ ნაკვეთებზე ნიადაგი უნდა  
იყოს ღრმა, სტრუქტურიანი, ნოკიერი, ფხვიერი, წყლის კარგი გა-  
მტარი.

2. ვენახების გასაშენებლად პლანტაცი აუცილებლად უნდა  
შომზადდეს შემოდგომაზე, ვაზის დარგვამდე 3-4 დღით ადრე, მისი  
სიღრმე უნდა იყოს სულ ცოტა 50-60 სმ.

3. წარმოებული ცდებით დადგინდა, რომ აჭარის იმ რაიონებში,  
სადაც შეიძლება მექანიზაციის გამოყენება, ვენახების გაშენება  
უმჯობესია  $2X1,25$  ან  $2X1,5$  მეტრ კვების არეზე, ფერდობ ადგი-  
ლებში კი, სადაც მექანიზაცია არ გამოიყენება, ვენახები უნდა გა-  
შენდეს როგორც  $1,5X1,5$ , ასევე  $1,5X1,25$  მეტრ კვების არეზე.

4. არა მარტო ხულოს რაიონის პირობებში, არამედ აჭარის  
სხვა რაიონებშიც ყველა ჭიშის ვაზის შტამპის სიმაღლე ვაკე ადგი-  
ლებში უნდა იყოს არა ნაკლებ 60 სანტიმეტრისა, ხოლო ფერდო-  
ბებზე — 50 სანტიმეტრი.

5. სხვლის თავისუფალი ფორმა (ვაზის სიძლიერის მიხედვით)  
აჭარის პირობებში უნდა იყოს წამყვანი ყველა ჭიშისა და კვების  
არის შემთხვევაში.

6. სამი წლის ცდების მონაცემებით დადგინდა, რომ აჭარის  
პირობებში ვაზის ცის გახსნა კარგ შედეგს იძლევა 25 ივლისიდან.

7. გადამჭრელი ზომები უნდა მივიღოთ ვენახებში მეჩერიანო-



ბის სალიკვიდაციოდ და შერეული უვარგისი ჯიშების ამოსაძირებული გად. იმ ანგარიშით, რომ უკანასკნელ ორ წელიწადში დავაშემოქმედოთ როთ ზერების ვაზით შევსება, ამ დანიშნულებით ვაზზე უნდა შეი-რჩეს ძლიერად განვითარებული რქები და შემოღვმიდანვე მათი გადაწვენის გზით შეივსოს ყველა მოცდენილი ადგილი.

8. კატეგორიულად უნდა აიკრძალოს ვენახის გაშენება საკუ-  
თარ ძირზე, როგორც პრაქტიკაში მიუღებელი წესი.

9. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ფილოქსერა-  
გამძლე საძირე ვაზის სადედეს გაშენებას.

10. მიზანშეწონილი და აუცილებელია რესპუბლიკური მნიშვ-  
ნელობის ვაზის სანერგე მეურნეობის მოწყობა. სანერგეში გამოყ-  
ვანილი უნდა იქნას როგორც ადგილობრივი, ასევე შემოტანილი ვა-  
ზის პრესერტიული ჯიშები.

11. ვაზის ადგილობრივი სახეებიდან უნდა შეიქმნას ჯიშთა გა-  
მოცდის ნაკვეთი საქართველოს მებაღეობა-ტევენახეობისა და მელ-  
ვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აჭარის საყრდენი  
პუნქტის ხელმძღვანელობით.

12. მოსავლიანობის გადიდების მიზნით, სადაც ეს მოსახერხე-  
ბელია, კოლმეურნეობებში უნდა მოეწყოს სარწყავი არხები და  
დაწესდეს ვენახების მორწყვა ზაფხულის განავლობაში ორჯერ  
ზემოხსენებულ ვადებში.

13. აჭარის მთიანი რაიონების მევენახეობაში ახლო მომავალში  
უნდა დაინერგოს შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. სამუშაო  
პროცესების გაადვილებისა და პროდუქციის თვითლირებულების  
შემცირებისათვის, რასაც შემდგრმში განსაკუთრებული ყურადღება-  
უნდა მიექცეს. შემოზიდული უნდა იქნეს კოლმეურნეობებისათვის  
ვიწროგაბარიტიანი ტრაქტორები ვენახების მოხვნის, კულტივაციი-  
სა და შეწამვლის მიზნით.

14. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ნაკვეთების-  
გაპიროვნებას. იქ, სადაც ვენახები გაპიროვნებულია მრავალი-  
წლით, ყველან ყურძნის მაღალ და ხარისხოვან მოსავალს იღებენ,  
ხოლო იქ, სადაც მევენახე ხშირად იცვლება, დაბალ და უხარისხო-  
მოსავალს ღებულობენ. ეს იმიტომ, რომ უკანასკნელები დაინტე-  
რესებული არიან არა ვენახის მოვლით, არამედ ერთჯერადი დიდი-  
მოსავლის მიღებით, ვაზის ძლიერი დატვირთვის შედეგად, რაც უა-  
რყოფითად მოქმედებს ვაზის შემდგომი წლების მოსავალზე და მის-  
ნორმალურ ზრდა-განვითარებაზე.

15. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მევენახეობაში პირად დაი-



ნტერესებას. მშრომელთა პირადი დაინტერესება ჩვენი ქვეყნის კრიზისული ურნეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი სტიმულია. „პირატესის ურნეობის ინტერესება, — გვასწავლის ვ. ი. ლენინი, — ამაღლებს წარმოებას“. \*

მატერიალური დაინტერესების პრინციპი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ხორციელდება, იგი მოქმედებს აგრეთვე კოლმეურნეობებში. ამ ღონისძიების განხორციელებას ჩვენთან მევენახეობაში ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ეთმობა.

ერთი შეხედვით, ყურძნის ნატურით არ გაცემა აქარაში თითქოს ხელს უწყობს გეგმის შესრულებას. მართალია, პირველ წელს გვაძლევს რაღაც შეღავათს, ხოლო შემდეგ წლებში კოლმეურნეს დაინტერესება არ აქვს და მუშაობს მოვალეობის მოხდის მიზნით. ეს კი დაბლა სცემს შრომის ნაყოფიერებასა და ყურძნის მოსავლიანობას. ამიტომ ყურძნის მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისა და კოლმეურნის წახალისების მიზნით, საჭიროა აქარაში, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც გლეხებს საკარმიდამო ნაკვეთებში ვენახი არა აქვთ გაშენებული, მატერიალური სტიმულირების მიზნით ყურძნის წარმოების გეგმის გადამეტებით განაღდების შემთხვევაში მიეცეს პრემია-დანამატი შემდეგი წესით: მევენახეს, რომელიც გაპიროვნებულ ნაკვეთში 5 და მეტი წლის განმავლობაში მუშაობს, ამასთან ვენახი სანიმუშოდ აქვს მოვლილი, მიეცეს პრემია-დანამატი გადაჭარბებულის 50 პროცენტამდე, ხოლო იმ მევენახებს, რომლებიც 1-დან 4 წლამდე მუშაობენ და მათი ვენახები მოითხოვენ კიდევ მზრუნველ ხელს, პრემია-დანამატის ოდენობა განუსაზღვროს კოლმეურნეობის გამგეობის მიერ გაწეული მუშაობის შესაბამისად.

16. წასული წლების განმავლობაში არ შეტანილა ვენახებში არცერთი სახის სასუქი (გამონაკლისია 1973-1974 წლები), ამავე დროს ვაზი ისხვლებოდა და ისხვლება დიდი დატვირთვით, რამაც გამოიწვია მცენარის მასობრივად დასუსტება და ვენახის დიდი ნაწილის წყობილებიდან გამოსვლა. ყოველივე ამის შედეგად ყურძნის საშუალო საჭერებულო მოსავლიანობა ბალზე დაეცა. დამახინჯდა ვაზის ფორმირება: სიმაღლე 50-60 სანტიმეტრის ნაცელად დაიყვანეს 15-20 სანტიმეტრამდე, განაპირა ბოძები და შუალედი სარები 100-120 სანტიმეტრს არ აღემატება. ამან შეცვალა მავთულების წყობაც; შტამბის დადაბლების გამო ნაყოფი მიწის ზედაპირზეა დასული და ბალახებშია დაფარული, რაც აგვიანებს ყურძნის ნორმალურ დამწიფებას და აუარესებს მის ხარისხს. ოლინიშნება აგრეთვე ხაყოფის ლპობაც.

\* ი. ბალანჩიგაძე, მატერიალური დაინტერესება სოციალისტური მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია, 1954, გვ. 8.

შეტანილი სასუქების ეფექტირანობის შედეგად ვაზი მატებული უფრო ძლიერია და გაზაფხულზე ყოველი მიზეზის გარეშე უნდა მოხდეს მისი შემდგომი გაუმჯობესება. ამისათვის კი საჭიროა ვაკე აღილებში შტამბის სიმაღლე იყოს 60 სანტიმეტრი, ფერდობებშე კი — 50 სანტიმეტრი. ამის მიხედვით პირველი მავთული გაიბმება რაიონში მიღებული შტამბის სიმაღლეზე, მეორე მავთული — 40-45 სანტიმეტრზე პირველი მავთულიდან, მესამე მავთული — 60 სანტი-შეტრზე მეორე მავთულიდან. ამასთან დაკავშირებით (შეიცვლება განაპირა ბოძებისა და შუალედი სარების სიმაღლე) არანაკლებ 220-230 სანტიმეტრისა.

17. ორი კულტურის — ვენახისა და თამბაქოს წარმოებისათვის გაწეული შრომის ანაზღაურებაში არ უნდა იყოს დიდი სხვაობა. შრომის მატერიალური დაინტერესება უგულებელყოფილი იყო წინათ მეთამბაქოებაში, რაც აფერხებდა ამ კულტურის განვითარებას. ამჟამად თამბაქოს მოვლა-პატრონობაში დანერგილია მატერიალური დაინტერესება და წახალისების შეთოლები. ამიტომ მუშა-ხელი უფრო მეტად ამ დარგს ეტანება, ხოლო ვენახში მუშაობას გაუჩინდების. ამგვარად, როგორც ზევით ითქვა, მევენახეობაში მუშახელის მიზიდვის მიზნით საჭიროა მევენახე დავაინტერესოთ მატერიალურად, რათა მეტი კოლმეურნე ჩავაბათ მევენახეობაში.

18. მევენახეობაში ფულადი შემოსავლის გადიდების ერთ-ერთი საშუალებაა ყურძნის მაღალი შაქრიანობა, ეს კი დამოკიდებულია მის ტექნიკურ სიმწიფეზე. აჭარის პირობებში რთველი უნდა გაჩაღდეს 15-20 ოქტომბრიდან, სინამდვილეში კი ამ სამუშაოს იწყებენ პირველი ოქტომბრიდან. ამის გამო შაქრიანობა ადრე მოკრეფილ ყურძნის ტებილში 14-15 პროცენტს არ აღემატება, ხოლო 20 ოქტომბრიდან დაკრეფილში იგი 19-20 პროცენტს შეადგენს.

ამგვარად ნაკლები შაქრიანობის გამო ეცემა ყურძნის ფასი და პროდუქციის ხარისხი, რაც მნიშვნელოვან ბატერიალურ ზარალს აყენებს მევენახეობის მეურნეობებს.

## ვ ი ნ ა რ ს ი

შესავალი	3
აჭარის მეცნახეობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა	5
მეცნახეობის თანამედროვე მდგრადული და განვითარების პერსპექტივები	10
აგროტექნიკის თანამედროვე დონე	13
აბორიგენული ვაზის წითელი ყურძნის პერსპექტიული ჯიშები	25
შემოტანილი ვაზის პერსპექტიული ჯიშების ბიოლოგიური ფაზების და ყურძნის წვენის ანლიზის შედეგები	38
მეცნახეობის აგროტექნიკის ზოგიერთი საკითხი აჭარაში	39
სავენახე ნაკვეთის შერჩევა	44
ფერდობების გამოყენება ვენახების გასაშენებლად	46
სავენახე ნაკვეთების მომზადება	47
საძირე ვაზის ჯიშების შერჩევა	
ვაზის დარგვის დრო და წესი	48
ახალშენი ვენახის მოვლა	
ვაზის შპალერზე დაყენება	50
ვაზის შტამპის სიმაღლის განსაზღვრა	52
ვაზის გასხვლის დრო და წესები	55
ვაზის დატვირთვა-ფორმირების წესების დადგენა	56
ვაზის სოკოვან დავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა	62
სასუქის გამოყენება ვენახში	65
ვაზის მწვანე ნაწილების ოპერაციები	66
ვენახის მორწყვა	70
სეტუგისაგან დაზიანებული ვაზის მოვლა	71
დასკვნები და წინადაღებები	73

გამომცემლობის რედაქტორი ლ. ბერიძე  
მხატვ. რედაქტორი ჭ. მიქელაძე  
ტექნიკური 6. ჭუთნია  
კორექტორი ე. ემირიძე  
გამომშვები ჭ. ხოჯერია

ჰელოშერილია ღასაბეჭდად 1.3.76, ქაღალდის ზომა 60X90 1/16, პირობითი ნა-  
ზეჭდი თაბაზი 5, საალრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 4,11, შეკვ. № 745, ემ 00892,  
ტირაჟი 1000.

ფასი 41 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა აწარა“, ბათუმი, გოგებაშვილის, 24.

---

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის გამომ-  
ცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის გაშრობის სახელმწიფო კომიტეტის ბა-  
თუმის სტამბა, ლუქსემბურგის, 20.

Батумская типография Госкомитета СМ Грузинской ССР  
по делам издательств, полиграфии и книжной торговли.  
ул. Р. Люксембург, 20.

Нуцубидзе Михаил Алексеевич  
ВИНОГРАДАРСТВО В АДЖАРИИ  
(На грузинском языке)  
Издательство «Сабчота Аджара»  
Батуми, ул. Гогебашвили, 24.  
1976



7/6/22.



23356

